# საერთო გაზეთი

№1 (551) • 22 იანვარი, 2020წ. • ოთხშაბათი • WWW.SAERTOGAZETI.GE • ფასი 1 ლარი



## საქართველოში „კავკასიური ცარცის წრის“ ახალი ვარიანტი თამაშდება

რაც დღეს ხდება, ეს არის დროში გაჭიმული სახელმწიფო გადატრიალების მცდელობის გაგრძელება





# შეწყდეს ბიძინა ივანიშვილის პოლიტიკური დევნა მის მიერვე აშენებულ ქვეყანაში!



## ამ ოპოზიციის დიდი ნაწილი რუსული აგენტურაა

## მსოფლიოს პოლიტიკურ ლიდერთა მკვლელობები







## დიდი არმენული შეთქმულება საქართველოს და რუსეთის წინააღმდეგ





- ამერიკის არმენული ლობი გარიგდა რუსეთის არმენულ ლობთან, რომ ისინი რუსეთს დაშლიან, რის სანაცვლოდაც არმენები ჯილდოდ მთელ კავკასიას მიიღებენ.
- პუტინის კარზე არმენული ლობი კიდევ უფრო ძლიერდება – წარმოშობით სომეხ ლავროვს წარმოშობით სომეხი მიშუსტინი დაემატა პრემიერის რანგში.
- რუსეთმა კი არა, საქართველომ უნდა იხსნას რუსეთი. ამას მე კი არა, დიდი წმინდანი სერაფიმე საროველი ამბობს: „სტარშაია სესტრა ივერია სპასიტელნიცა ზემლი რუს“.



## 20 ივნისი იყო არმენული პუტჩი საქართველოში

# საქართველოში „კავკასიური ცარცის წრის“ ახალი ვარიანტი თამაშდება

## რაც დღეს ხდება, ეს არის დროში გაჭიმული სახელმწიფო გადატრიალების მცდელობის გაგრძელება



**იმ ფონზე, როცა ნაცებმა და მისმა გოშიებმა, ყურისწამღები წკავწკავი და გნიასი ატეხეს, ექვთიმე თაყაიშვილის სახელის გვერდით ბიძინა ივანიშვილის სახელის ხსენება როგორ გაბედეთო, მინდა შობა-ახალი წელი მივულოცო ბატონ ბიძინა ივანიშვილს, ვუსურვო ყოველივე საუკეთესო და საჯაროდ და სახალხოდ ვუთხრა მადლობა იმ უდიდესი ღვაწლისთვის, რაც მას ამ ქვეყნის წინაშე მიუძღვის**

**ვახტანგ ხარჩილავა:**

ადამიანთა ღვაწლისა და დამსახურებების აწონ-დაწონვა და ერთმანეთთან დატოლება უმადური საქმეა, მაგრამ არც ის არის დიდი ცოდვა და დანაშაული, თუ ხანდახან შედარებასაც გავაკეთებთ, მითუმეტეს, რომ გვიყვარს ჩვენ, ქართველებს, შედარებები.

ცხადია, უდიდესია ექვთიმე თაყაიშვილის ღვაწლი, მაგრამ ასევე უდიდესია ბიძინა ივანიშვილის ღვაწლი საქართველოს წინაშე,

აბა, ვინმემ გაბედოს და მითხრას, რომ რაც მე ახლა ვთქვი, ეს მლიქვნელობა და პირმოთნეობაა.

მლიქვნელობა და პირმოთნეობა კი არა ეს რეალობაა, ფაქტია, სინამდვილეა, რომლის დაუნახაობა დიდი უნამუსობა, დიდი უტიფრობა და უმადურობაა.

**მოდით, ასე დავსვათ კითხვა: რომელი საქციელია ზნეობრივად უფრო სწორი და მართალი — ის, როცა სიკეთისთვის ადამიანს მადლობას ეტყვი თუ ის, სიკეთის გამკეთებელს სიკეთის სანაცვლოდ ტალახს რომ ესვრი, გალანძღავ და გინებას დაუწყებ?**

მადლიერება, რომლის ძირი სიტყვა მადლია. ღვთისაა, სიკეთის წილ უმადურობა კი — ეშმაკისა.

უმადურობა ბოროტებაა, რომელიც მოყვასისადმი თანადგომის და სიკეთის ქმნის სურვილს უკლავს ადამიანებს და გულგრილობის და ინფანტილიზმისკენ უბიძგებს.

ნაციონალური მოძრაობა, რომელიც მთელი თავისი არსებობის მანძილზე ბოროტებას ემსახურება, ბიძინა ივანიშვილში თავის დაუძინებელ (პირად) მტერს ხედავს, რომელიც სიკეთეზე, ქველმოქმედებაზე, თანადგომაზე ორიენტირებული საქმეებით საფრთხეს უქმნის ბოროტებაზე, ძალადობაზე, სისასტიკეზე დაფუძნებულ ნაცმოძრაობის ძალაუფლებას.

არ ვიცი ვინ დაგეგმა ბიძინა ივანიშვილის წინააღმდეგ მიმართული ის სატანისტური პიარკამპანია, რომელიც ჯერ რუსთავი-2-ის ეკრანზე იყო მთელი ფრონტით გაშლილი, ახლა კი ტელეკომპანია „მთავარში“ გადმოინაცვლა, თუმცა ვფიქრობ, რომ ამ უკიდეგანო ცინიზმით, უსაზღვრო უნამუსობით და შემაძრწუნებელი არაადამიანურობით გაჟღენთილი პიარკამპანიის დამგეგმავები და დამპროექტებლები მხოლოდ ქართული წარმოშობის ეშმაკები არ არიან...

მთავარი ღერძი, მთავარი ხერხემალი, რაზეც ეს პროექტია აგებული, შემდეგია: უწყვეტ რეჟიმში, ყოველ საათს, ყოველ წუთს, ყველა აქციის, ყველა ჩართვის თუ რეპლიკის დროს მუდმივად უნდა ისმოდეს, რომ ბიძინა ივანიშვილს არაფერი გაუკეთებია, არც არაფერი აუშენებია, არც არავის დახმარებია, არც ეკლესია-მონასტრები აღუდგენია, არც თეატრების, არც სტადიონების, არც უმაღლესი სასწავლებლების, არც მუზეუმების შენობა-ნაგებობებისთვის წაუშველებია ხელი, მოკლედ, საერთოდ არაფერი არ გაუკეთებია.

**მერე რა, რომ ეს ყველაფერი, როგორც იტყვიან, სახეზეა, მერე რა, რომ ეს ყველაფერი რეალურად არსებობს, შენ მაინც უნდა თქვა, რომ არ არსებობს, რომ ეს ყველაფერი სიცრუეა, მოგონილია, მირაჟია და, აი, ეს უნდა იმეორო და იმეორო, უნდა იმეორო და იმეორო, რომ შექმნა მოდელირებული, ვირტუალური, ჰალუცინაციური „რეალობა“, სადაც ყველაფერი, რასაც ბიძინა ივანიშვილის ხელი შეხებია, „გამქრალია“ „აორთქლებულია“, ირგვლივ კი მხოლოდ ხრიოკი უდაბნო და სიცარიელეა.**

## შეწყდეს ბიძინა ივანიშვილის პოლიტიკური დევნა მის მიერვე აშენებულ ქვეყანაში!

აი, ამ აპოკალიფსურ სურათს ქმნის დღეს ნაციონალების პარტიული ტელევიზია, „მთავარი“ და კიდევ რამდენიმე მისი „კორპუნქტი“, რომლებსაც დამოუკიდებელი ტელევიზიები კი ჰქვიათ, მაგრამ იდეოლოგიურად პირდაპირ „მთავარის“ პულტზე არიან მიერთებულნი.

რა არის ამ პიარკამპანიის, უფრო ზუსტად, წმინდაწყლის სატანისტური რიტუალის მთავარი მიზანი?

ადამიანების დადუმებას, ადამიანების დაკომპლექსებას, მთელი მოსახლეობის უმადურ, დაუნახავ, მხეცის და მტაცებლის დონეზე დასულ მასად ქცევას ისახავენ მიზნად ეს ყოველგვარი ადამიანური თვისებებისგან დაცლილი სატანის ჯარისკაცები და ამას მშვიდობიან პოლიტიკურ ბრძოლას არქმევენ, თუმცა რასაც ნაციონალები და მათი სატელიტები აკეთებენ, დიდი ხანია გასცდა პოლიტიკური ბრძოლის, ზოგადად, პოლიტიკის ჩარჩოებს და პოლიტიკური დევნის ხასიათი მიიღო.

**დიახ, ის რაც დღეს ბიძინა ივანიშვილის წინააღმდეგ ხდება, ეს არის კარგად დაგეგმილი, კარგად ორგანიზებული პოლიტიკური დევნა,** რომელშიც ჩართულნი არიან პოლიტიკური პარტიები, არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები, საინფორმაციო საშუალებები, ეგრეთწოდებული სამოქალაქო აქტივისტები,

სამწუხაროდ, ბიძინა ივანიშვილის გარშემო მიმდინარე მოვლენებს და ე.წ. ოპოზიციის ზღვარგადასულ ქმედებებს ხელისუფლებამ ვერ მისცა სათანადო კვალიფიკაცია, მიუხედავად იმისა, რომ ეს ქმედებები ყველანაირი ნიშნით, ყველანაირი მახასიათებლით აშკარად შეიცავს პირის დევნის, პირზე ძალადობის, მუქარის, შანტაჟის, ფსიქოლოგიური ტერორის, ბულინგის ელემენტებს.

მე ვურჩევდი ქართველ სამართალდამცავებს დაიწყონ ამ თემის შესწავლა და ობიექტურად გამოძიება.

თუ ეს მოხდება, დარწმუნებული ვარ, ძალიან საინტერესო მასალები დაიდება (შეგროვდება) და ბევრი ვინმე, რომელიც პოლიტიკოსის, ჟურნალისტის თუ სამოქალაქო აქტივისტის ნიღაბსაა ამოფარებული, სულ სხვა რაკურსით წარმოჩინდება.

მათ შორის ერთ-ერთი პირველი ალბათ ნიკა გვარამია იქნება, რომელიც დიდი ხანია მის კონტროლს დაქვემდებარებული ტელეარხის საშუალებით ღიად, დაუფარავად, პირდაპირი ტექსტებით მოუწოდებს ადამიანებს ხელისუფლების დამხობისკენ, დესტაბილიზაციისკენ, ანგარიშსწორებისკენ და ამას აკეთებს მსჯავრდებულ საააკაშვილთან ერთად, რომელიც ამჟამად „პაბეგშია“.

გვარამიამ და მისმა ამფსონებმა ამასწინათ ისიც კი იკადრეს, რომ ჩაუშესკუს და კადაფის ლიკვიდაციის შემზარავი კადრები აჩვენეს და ღიად მიანიშნეს ივანიშვილს, რომ მასაც იგივე შეიძლება დაემართოს, თუ გონს არ მოეგება და




„საერთო გაზეთი“
გამომცემელი: შპს საგამომცემლო ცენტრი „საერთო სიტყვა“
მის: თბილისი, ტაშკენტის ქ. 18;
ტელ.: 593 44 04 01; 593 56 11 18.
E-mail: saertogazeti@yahoo.com
რეგისტ. №202375349; უაკ (UDC) 070.23 (479.22) ს-158

გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპით. შესაძლოა, ავტორის პოზიცია არ ეთანხმებოდეს რედაქციის აზრს.
ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი.
გასაჩივრება შესაძლებელია მასალის გამოქვეყნებიდან ერთი კვირის ვადაში. შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდება.
იბეჭდება შპს „ასავალ-დასავალის“ სტამბაში; თბილისი, აგლაძის 39
® ამ ნიშნით აღნიშნულია სარეკლამო მასალები.





მომავალ არჩევნებში ხელისუფლებას „ნაცმოძრაობას“ და ოპოზიციას არ გადააბარებს.

ისინი არ აზუსტებენ, როგორ უნდა მოახერხოს ეს ივანიშვილმა, თუ საქართველოს მოსახლეობა მისთვის საძულველ ნაცმოძრაობას და ფეტვის მარცვლებივით მიმობნეულ პარტიებს ნულოვანი რეიტინგით ხმას არ მისცემს — ბრძანება გამოსცეს, გინდათ თუ არა ნაცმოძრაობას ჩაბარდითო თუ რა ქნას?

ზემოთ ვთქვით, ბიძინა ივანიშვილის წინააღმდეგ გარკვეული ძალების მხრიდან დევნა ხორციელდება, მაგრამ ხელისუფლება ამას სათანადო კვალიფიკაციას ვერ აძლევს და შესაბამის სამართლებრივ რეაგირებას ვერ ახდენსო.

იგივე შეიძლება ითქვას 20 ივნისის მოვლენებზე, რომელსაც თავდაპირველად პარლამენტში შეჭრის და სახელმწიფო გადატრიალების მცდელობა კი ეწოდა და ვიღაც-ვიღაცებიც დაისაჯა, მაგრამ არა ისე, როგორც ამას ერთ-ერთი უმძიმესი დანაშაულის, პარლამენტში შეჭრისა და სახელმწიფო გადატრიალების მცდელობისას კანონი მოითხოვს.

არათანმიმდევრულმა, ნაკლებად პრინციპულმა მიდგომამ 20 ივნისის დრამატულ ამბებთან დაკავშირებით ის გამოიწვია, რომ 20 ივნისის ღამეს დაწყებული სახელმწიფო გადატრიალების მცდელობა სხვადასხვა ფორმით და სხვადასხვა მოტივით, შეიძლება ითქვას, დღემდე გრძელდება და არავინ იცის, როდის და რა შედეგებით შეიძლება ის დამთავრდეს.

ძალიან ღრმად ცდება ვინც ფიქრობს, რომ ეს პერმანენტულ რეჟიმში მიმდინარე საპროტესტო აქციები მხოლოდ პოლიტიკურ თემებს, მოცემულ სიტუაციაში, საარჩევნო სისტემის შეცვლას უკავშირდება.

ნაცმოძრაობას და მის განაყოფებს, რომლებიც ამტკიცებენ, რომ არჩევნების პროპორციული სისტემით ჩატარებისთვის იბრძვიან, თამამად შეიძლება ითქვას, რომ საერთოდ არ აინტერესებთ არანაირი სისტემა, რადგან მათ შესანიშნავად იციან, რომ ამ არჩევნებში, რა სისტემითაც არ უნდა ჩატარდეს იგი, ვერ გაიმარჯვებენ.

საარჩევნო სისტემაზე საუბარი მათთვის უბრალოდ მომგებიანი სადისკუსიო თემაა.

**სინამდვილეში ნაციონალების მიზანი ქვეყანაში მუდმივი დესტაბილიზაციის, მუდმივი რყევის, არასტაბილურობის ატმოსფეროს შექმნა და ქვეყნის უკიდურესად კრიზისულ ზღვრამდე მიყვანაა**, აი, მაშინ გამოჩნდებიან ესენი და იტყვიან, რომ ქვეყნის დახსნა ამ კრიზისული მდგომარეობიდან მხოლოდ მათ შეუძლიათ.

შეიქმნება სიტუაცია, როცა ხელისუფლება უმძიმესი არჩევანის წინაშე, დადგება: ან სამოქალაქო დაპრისპირება ან ხელისუფლების დათმობა.

ნაცმოძრაობა დარწმუნებულია, რომ ბიძინა ივანიშვილი ამ ქვეყანას, რომელზეც ამდენი ამაგი აქვს, სამოქალაქო ომისა და ნგრევისთვის არ გაწირავს, სამაგიეროდ, ნაციონალები გაწირავენ.

ბიძინა ივანიშვილს უყვარს ეს ქვეყანა, ნაციონალებს არ უყვართ და, აქედან გამომდინარე ადვილად გაიმეტებენ გასაგლეჯად.

**21-ე საუკუნის 20-იან წლებში ჩვენს თვალწინ „კავკასიური ცარცის“ წრის ახალი ვარიანტი თამაშდება — დრამატურგი — მიხეილ სააკაშვილი, დამდგმელი რეჟისორი — მიხეილ სააკაშვილი, ქორეოგრაფი — მიხეილ სააკაშვილი, მუსიკა — მიხეილ სააკაშვილი და ა.შ.**

დიახ, ეს თავიდან ბოლომდე სააკაშვილის სპექტაკლია, რომელსაც ის სპეციალურად საკუთარი პერსონისთვის დგამს.

მან იცის, რომ არჩევნების გზით ის ხელისუფლებაში ვერასოდეს ვერ დაბრუნდება.

ერთადერთი შანსი, ერთადერთი გზა ხელისუფლებაში დაბრუნებისა მას მხოლოდ არეულობის, დესტაბილიზაციის, უკიდურესად მწვავე კრიზისის ფონზე შეიძლება გაუჩნდეს და ის თავგანწირული ცდილობს როგორმე ეს ფონი შექმნას.

სააკაშვილს საარჩევნო სისტემის შეცვლა დიდად რომ არ ანაღვლებს, ეს იმ რეპლიკითაც დასტურდება, რომელიც მან ბიძინა ივანიშვილის ცნობილ ინიციატივასთან (პროპორციული სისემაზე გადასვლა) დაკავშირებით ისროლა.

ახლა რა ხდება, რატომ იკლავენ თავს ნაციონალები იმის განსახორციელებლად, რასაც მათი ლიდერი ცოტა ხნის წინათ სისულელეს ეძახდა?

იმიტომ რომ ეს მომგებიანი სადისკუსიო თემაა.

ხვალ რომ ეს თემა მოიხსნას დღის წესრიგიდან, ისინი აუცილებლად გამოძებნიან სხვა თემებს,



რომ დაძაბულობის, დაპირისპირების მუხტი არ განელდეს და ეს მუხტი როგორმე არჩევნებამდე მიიტანონ.

არც არჩევნების შემდეგ აპირებენ ისინი ტაქტიკის და სტრატეგიის შეცვლას.

როგორც ვთქვით, მათ აქიდანვე იციან, რომ არჩევნებში სერიოზულ წარმატებას ვერ მიაღწევენ.

აქიდან გამომდინარე, ისინი არჩევნების მეორე დღესვე დაიწყებენ საპროტესტო გამოსვლებს, რომ არჩევნები გაყალბდა, რომ ხალხს არჩევანი მოპარეს, რომ ოლიგარქმა არჩევნები იყიდა და უკვე ამ დემაგოგიურ და სპეკულაციურ აჟიოტაჟზე შეეცდებიან იმ ფეთქებადსაშიში, უკიდურესად კრიზისული სიტუაციის შექმნას, რომელზეც ზემოთ ვილაპარაკეთ.

რა უნდა დაუპირისპიროს „ქართული ოცნების“ ხელისუფლებამ იმ პროცესებს, რომლებიც 7 წელია უწყვეტ რეჟიმში მიმდინარეობს პოლიტიკური პროცესების სტატუსით?

ბიძინა ივანიშვილმა ერთხელ ბრძანა: ყველაფერს თავისი სახელი უნდა დაერქვას.

**რაც დღეს ხდება საქართველოში, ეს არის სახელმწიფო გადატრიალების დროში გაჭიმული მცდელობა და ხელისუფლების დასამხობად დაგეგმილი დიდი შეთქმულება.**

**აი, ეს სახელი უნდა დაერქვას ნაცმოძრაობის მიერ პროვოცირებულ ამ პროცესებს, რადგან ეს არის ამ პროცესების ნამდვილი სახელი.**

ხელისუფლება ვალდებულია ეს გააკეთოს, რადგან საქმე მხოლოდ ბიძინა ივანიშვილს და „ქართულ ოცნებას“ არ ეხება — საქმე ეხება მთელი ქართველი ხალხის და ქართული სახელმწიფოს ბედსა და მომავალს.

რასაც ნაცმოძრაობა და ე.წ. ოპოზიცია აკეთებს, ეს არის ქართველი ერის აბუჩად აგდება, მისი შეურაცხყოფა უკიდურესად ცინიკური და უტიფარი ფორმებით.

როგორც ვთქვით, ნაციონალები თვალებში გვიყურებენ და ურცხვად გვიმტკიცებენ, რომ ბიძინა ივანიშვილს არაფერი გაუკეთებია საქართველოსთვის.

ესე იგი, რა გამოდის — ჩვენ, ქართველები, ბრმები ვართ, ყრუები ვართ, სულელები ვართ, დებილები ვართ და ჰალუცინაციები გვაწუხებს?

ნაციონალები არა მარტო საქართველოს მოსახლეობას, დანარჩენი მსოფლიოს გაბითურებასაც ცდილობენ ხოლმე და, უნდა ითქვას, მათ ეს ხანდახან მშვენირვრად გამოსდით.

ძალაუფლების მიცემა უკიდურესად სახიფათოა, რადგან მას არ აქვს ზომიერების გრძნობა, არ უმუშავებს შემაკავებელი რეფლექსები და მისი ძალაუფლებასთან მიკარება აუცილებლად მთავრდება „პერედოზიროვკით“.

როგორც ნარკოტიკით „პერედოზიროვკა, ასევე ძალაუფლებით „პერედოზიროვკაც“ კლავს, ოღონდ კლავს არა მხოლოდ თავად ამ ნარკოტიკის მომხმარებელს, არამედ ძალიან ბევრს მის გარშემო.

ნაცების „გმირული“ საქმეების კიდევ ერთხელ გახსენება, ამ საქმეების დამადასტურებელი დოკუმენტების თაროებიდან ჩამოღება, მათი სიბილწის, ავკაცობის და ბოროტების ამსახველი უამრავი აუდიო და ვიდეომასალის გამოქვეყნება, რომლებიც ჯერ კიდევ უცნობია ფართო აუდიტორიისთვის და, რაც მთავარია, იმ მზაკვრული გეგმის მხილება, მისი ბოლომდე გაშიფვრა და გაშიშვლება, რომლითაც ნაციონალები ქვეყანაში არეულობის მოწყობას და ამ არეულობის ფონზე ხელისუფლებაში მობრუნებას აპირებენ — აი, არასრული სია იმ საკითხებისა, რომლებზე მუშაობაც „ქართულ ოცნებას“ მოუწევს.

სააკაშვილი ირწმუნება — ჩვენი მოსვლისთანავე ინვენსტიციები მომრავლდება საქართველოშიო.

ინვესტიციები კი არა, მათი მოსვლის შემდეგ ცხედრები მომრავლდება საქართველოში, საფლავები მომრავლდება, პატიმრების რიცხვი გაორმაგდება და გასამმაგდება.

სირცხვილია, როცა ერს არ შეუძლია ულირსთაგან დაიცვას თავისი ღისეული შვილები.

ასეთ ერს არც საკუთარი თავის დაცვა შეუძლია და არც საკუთარი ქვეყნის პატრონობა.

**თუ ქართველი ერი ბიძინა ივანიშვილის დაცვას და ძომაგობას ვერ მოახერხებს, ეს იქნება ერთ-ერთი ყველაზე დიდი სირცხვილი, რაც მას თავისი არსებობის მანძილზე უწვნევია.**

თუმცა მხოლოდ სირცხვილში არ არის საქმე…

ბიძინა ივანიშვილის წასვლას პოლიტიკიდან მოცემულ სიტუაციაში აუცილებლად მოჰყვება ნაცმოძრაობის და მისი განშტოებების დაბრუნება ხელისუფლებაში, რასაც ისეთი უმძიმესი შედეგები მოჰყვება, შეიძლება 90-იანი წლების ამბები მონაგონი იყოს.

ნაცმოძრაობა გვარწმუნებს, რომ შექმნილი მდგომარეობიდან გამოსავალი ბიძინა ივანიშვილის და ქართული ოცნების სახლში გაშვებაა, თუმცა სინამდვილეში, ეს ხსნა და გამოსავალი კი არ არის, სრული კატასტროფაა, რადგან ივანიშვილის და „ოცნების“ სახლში გაშვებას სააკაშვილის და ნაცების სახლში შემოშვება მოჰყვება, რასაც ქართველი ხალხის დიდი უმრავლესობა ვერ შეგუება, ისე როგორც ვერ შეეგუება „გვარგადაკეთებული“ ნაცების უკან მობრუნებას.

ასე რომ ივანიშვილის და ქართული ოცნების სახლში გაშვება არსებულ პროცესებს კი ვერ განმუხტავს, არამედ ისეთ ახალ უმწვავეს პრობლემებს შექმნის, რომლებიც ქვეყანას სამოქალაქო დაპირისპირებამდე მიიყვანს.

**ამ არამდგრადი მდგომარეობიდან ქვეყნის გამოსაყვანად, „ქართულ ოცნებას“ გამარჯვების იქით სხვა გზა არ აქვს, ისევე როგორც „ქართული ოცნების“ გამარჯვების იქით სხვა გზა არ აქვს ქართველ ხალხს…**



# ამ ვითომ პროდასავლური ოპოზიციის დიდი ნაწილი, სინამდვილეში, რუსული აგენტურაა

გვესაუბრება კინორეჟისორი გოგა ხაინდრავა:

**— ბატონო გოგა, ოპოზიცია მუდმივად საუბრობს, თითქოს, ივანიშვილი რუსული პროექტია და რუსეთის ორბიტაზე გვაბრუნებს. პარადოქსია, რომ ამ „საშიშროებაზე“ მაქარაშვილი, მშვილდაძე, გრიგოლ ვაშაძე, სააკაშვილი და ა.შ. გვესაუბრებიან. რა ხდება?**

— პირველ რიგში, თქვენ და „საერთო გაზეთის“ მკითხველს შობა-ახალ წელს გილოცავთ. მინდა გისურვოთ ბედნიერება, რაც მთავარია, მშვიდობიანი ახალი წელი და კეთილი შობა. ამ ინფორმაციის გავრცელება, ძირითადად, მედიით ხდება ხომ. თუ გავითვალისწინებთ მარგინალიზაციას რაც საქართველოში ზოგადად, პრესამ და განსაკუთრებით, ტელევიზიებმა



განიცადეს, რომლებიც სწორედ ამ პროპაგანდით არიან დაკავებულნი, ყველაფერი ცხადი ხდება. ეს არა თავისუფალი, არამედ პარტიული პრესაა, რომელიც პარტიულ პროპაგანდას ეწევა. მეორე ნაწილი, შეუმდგარი პრესაა, რომელიც ქვეყნისთვის და საზოგადოებისთვის არავითარ ინტერესს არ წარმოადგენს. მათი რეიტინგები ცხადჰყოფს, რომ ფსევდოკრიტიკის მოდას აყოლილნი არიან. დავუბრუნდეთ საკითხს, რაც თქვენ წამოჭერით. ეს გვარები ძალიან ზუსტად დაასახელეთ. დიახ, მოდით ვთქვათ: ვინ არის მაქარაშვილი? იგი რუსული პოლიტიკური ორგანიზაციის სპიკერი გახლდათ, რომელიც რუსეთში ძალიან მჭიდროდაა დაკავშირებული გორჩაკოვის ფონდთან. გორჩაკოვის ფონდი არის დიპლომატიიდან გასული კაგებეს თანამშრომლების ნავთსაყუდელი. რუსეთში როცა დიპლომატიურ საქმიანობას ამთავრებენ, ვთქვათ, საგარეო საქმეთა სამინისტროს წარმომადგენლები, გორჩაკოვის ფონდში მიდიან. ასე, რომ კარგად ვიცი ვინც არის მაქარაშვილი, ვინ დგას მის უკან და ვისი „პალადოკით“ დადის. დიახ, აბსოლუტურად ნათელია, რა ძალები დგას მათ უკან ისევე, როგორც მთავარი ოპოზიციური პარტიის ლიდერის — გრიგოლ ვაშაძის უკან. იგი რუსეთის უშიშროების თანამშრომელი გახლავთ. ადრე, საბჭოთა კავშირის კაგებეს თანამშრომელი იყო. მოკლედ რომ ვთქვა: ცნობილი ჩეკისტია. მან თავი იმით გაითქვა, რომ სახელოვნებო ჯგუფებს საზღვარგარეთ დაჰყვებოდა და მათ შესახებ კაგებეში დანოსებს წერდა. თუ გავითვალისწინებთ, რას წარმოადგენს დღეს ეს სრულიად მარგინალიზებული მიხეილ სააკაშვილი თავის ჩეკისტ ბიძასთან — თემურ ალასანიასთან ერთად, აბსოლუტურად, ნათელია თუ ვის ინტერესებში შედის საქართველოს, სახელმწიფო ინსტიტუტების დაკნინება და ბიძინა ივანიშვილის სახელის შელახვა. ეს გახლავთ რუსეთი. ანუ, ერთადერთი ქვეყანა, რომელიც დაინტერესებულია საქართველოს და იმ ძალების დაკნინებით რომლის ცალსახა, გამოკვეთილი ლიდერი ბიძინა ივანიშვილია, ეს არის რუსეთი. ამიტომ, ეს ყველაფერი რუსეთის ინტერესებს ემსახურება. რუსეთის, საქართველოს და სხვა ბევრი ქვეყნის დაზვერვამ ყველაფერი გააკეთა იმისთვის, რათა ბიძინა ივანიშვილის ბიოგრაფიაში რაიმე ისეთი აღმოეჩინათ, რითაც მის დისკრედიტაციას შეძლებდნენ, მაგრამ ვერაფერი აღმოაჩინეს. ბიძინა ივანიშვილის კურსი არის მკვეთრად დასავლური, ნატოსთან ინტეგრაცია ისეთ დონეზეა, როგორიც არასდროს ყოფილა და ასევე, აშშ-ს მხრიდან ასეთი მხარდაჭერა საქართველოს ჯერ არ ჰქონია. ეს ყველაფერი ივანიშვილის დამსახურება გახლავთ. აქედან გამომდინარე, აბსოლუტურად, ნათელია რომელი ქვეყნის ინტერესებში შედის დესტრუქციის მცდელობა. ასე, რომ ყველა ვინც თქვენ დაასახელეთ: სააკაშვილი, ბოკერია და მათ ზემოდან დამატებული იმ საერთაშორისო ინსტიტუტების წარმომადგენლები, როგორიც არის მაგალითად, „ენ-დი-აის“ საქართველოს ოფისის ხელმძღვანელი ლორა ტორნტონი, ჩვენს ქვეყანაში რუსულ ინტერესებს ანხორციელებენ. რაც შეეხება რუსეთთან საერთო ენის გამონახვას: მარტივი ჭეშმარიტებაა, რომ მსოფლიოში კონფლიქტის მოგვარების ორი გზა არსებობს — ეს არის ომი და მშვიდობიანი მოლაპარაკება. იმის გამო, რომ რეალურად, არ არსებობს არანაირი შესაძლებლობა კონფლიქტი შეიარაღებული ძალით მოვაგვაროთ, რაც საქართველოს ტერიტორიაზე უკვე განხორციელდა — 20%-იანი ოკუპაცია რუსეთის მხრიდან და შედეგად, საქართველოს ტერიტორიაზე რუსული ჯარი დგას, ბუნებრივია ერთადერთ გზად მოლაპარაკება გვრჩება. ვიმეორებ, ჩვენ არ გვაქვს სამხედრო გზით პრობლემის მოგვარების შესაძლებლობა და ეს არც არის სასარგებლო რომელიმე ქვეყანასთან, მით უმეტეს, ისეთთან როგორიც რუსეთია. დიახ, მოლაპარაკება, სხვა გზა არ არსებობს. ამიტომ, **ხალხი ვინც საქართველოს ხელისუფლებას უპირისპირებს: არავითარ შემთხვევაში რუსეთთან დიალოგში არ შევიდეს, ვიმეორებ, რუსეთის ინტერესების გამტარებელია.** რუსეთის ჯარი აქ დგას, ორი რეგიონი ოკუპირებულია, პრაქტიკულად, ხდება ამ რეგიონების რუსეთთან ინტეგრტაცია და საბოლოო ჯამში, თუ ჭკუით არ მოვიქცევით, ეს ტერიტორიები რუსეთის იმპერიის გახდება. ყველა ვინც ხელს უშლის რუსეთთან ნებისმიერი ტიპის მოლაპარაკებებს იქნება ეს საერთაშორისო ინსტიტუტებისა თუ პარტნიორების მონაწილეობით, რუსეთის ინტერესებს ემსახურება. ეს ცალსახაა, რასაც, ჩემო კარგო, განსაკუთრებული ანალიზი არ სჭირდება. ყოველდღე ვხდებით შემდეგი რამის მოწმე: მარგინალური პოლიტიკური ჯგუფიდან, რომელშიც 32 პარტია გაერთიანდა და შავი სიის მაგიდას უსხედან, სახელმწიფო ინსტიტუტების, ხელისუფლების, ქართული საზოგადოების მიზანმიმართული დისკრედიტაცია ხორციელდება. ამ მაგიდის გარშემო, სადაც ყველანი შავ სიას უსხედან, ქართველი ხალხის სახელით კეთდება განცხადებები, რაც შეურაცხყოფს საზოგადოებას და ქართული სახელმწიფოს დაკნინებას ემსახურება.



**— ანუ, გამოდის რომ, ხალხი ვინც შავი სიის მაგიდას უზის, პრო-დასავლურობის იარლიყსაა ამოფარებული?**

— რა თქმა უნდა, რა თქმა უნდა, ისინი არავითარი პრო-დასავლელები არ არიან. ამ 32 გაერთიანებულ პარტიას შორის ერთ-ერთი მამუკა გამყრელიძეა, რომელიც ამ შავი სიის მაგიდასთან ზის. ერთი მითხარით, ეგ სადაური პრო-დასავლელია?! საერთოდ, ვინ არის? — იგი, ბიზნესმენი გახლავთ, რომელიც თუ არ ვცდები დღესაც რუსეთის მოქალაქე გახლავთ. გარკვეულ პერსონაჟებზე, ვინც ამ მაგიდას უზის, მაგალითად მაჭუტაძეზე კარგ იუმორისტულ ფილმს გადაიღებდა კაცი, სასაცილოდ რომ გვქონდეს საქმე. პრინციპში სასაცილოა კიდეც. **ამ მაგიდას ბურჯანაძეც მიუჯდა, რომელიც ნოვგოროდში არ დაბადებულა, თორემ ისე სულ იქ არის. ეს მისთვის უკვე ოჯახურ ბიზნესად იქცა,** შვილიც კი მოსკოვში წაიყვანა. საბოლოო ჯამში, ეს ყველაფერი სახელმწიფოზე ნეგატიურად მოქმედებს იმიტომ, რომ ინფორმაციებს რომელიც ვრცელდება საერთაშორისო თანამეგობრობა კითხულობს, ეცნობა და ბოლოსბოლო, ეს, რა თქმა უნდა, ჩვენს ქვეყანაზე უარყოფით ზეგავლენას ახდენს. განა შეიძლება მაჭუტაძის, ქარდავას, დავითაიას და გამყრელიძის სერიოზულ პოლიტიკურ პარტიებად წარმოდგენა, ეს ხომ სასაცილო და სამარცხვინოა. მიუხედავად ამისა, ასე ხდება. გარკვეული ავტორიტეტული საერთაშორისო ინსტიტუტების წარმომადგენლები, რომლებიც ჩემი აზრით, პოლიტიკურად ანგაჟირებულნი და



პოლიტიკურ კორუფციაში ჩართულნი არიან, ცდილობენ ამ ყველაფერს ხელი შეუწყონ. სწორედ ამის მაგალითია, როგორც ზემოთ გითხარით, **ლორა ტორნტონი** — „ენ-დი-აის“ საქართველოს ოფისის ხელმძღვანელი. მათ ასევე, ხელს უწყობენ ე.წ. ტელევიზიები, რომლებიც, ვიმეორებ, ამ მარგინალური პარტიის პოლიტიკურ რუპორებს წარმოადგენენ. ეს არ არის მარტო ქართული მოვლენა. შეხედეთ, რა ხდება მსოფლიოში. პრაქტიკულად, ის წესრიგი, რაც მსოფლიოში მეორე მსოფლიო ომის დროს იყო დამყარებული მთლიანად დაინგრა. საერთაშორისო ინსტიტუტების ავტორიტეტიც საფრთხეშია, თავად ახდენენ საკუთარი თავის დისკრედიტაციას. მაგალითად, ევროპის საბჭო, რომელმაც რუსეთს წევრობა, ხმის უფლება აღუდგინა მაშინ, როდესაც ამ იმპერიას არცერთი ნაბიჯი არ გადაუდგამს არც უკრაინის, არც საქართველოს დეოკუპაციის თვალსაზრისი თ. მეტსაც გეტყვით, იგი, პრაქტიკულად, ყოველდღიურად მიწასთან ასწორებს სირიას. სულ უკანასკნელ დღეებში სირიის ბარბაროსული დაბომბვა განხორციელდა, 300 ათასამდე ადამიანი იძულებული გახდა ტერიტორია დაეტოვებინა. ასე, რომ მსოფლიო წესრიგი დაინგრა და ახლა, ყველამ თავის თავზე უნდა იფიქროს. იმ პირობებში როდესაც ოკუპაციის ქვეშ ვართ და ჩვენი ერთადერთი, რეალური დასაყრდენი აშშ-ია, ამ დროს, შავი სიის შემქმნელები ქართული სახელმწიფო ინსტიტუტების დისკრედიტაციით არიან დაკავებულნი. ეს, მათი მხრიდან, რეანიმაციის მცდელობაა, მაგრამ, მადლობა ღმერთს, არც ამის უნარი და არც შესაძლებლობა არ აქვთ.

**— ანუ, ფაქტობრივად, ხალხი ვინც პუტინს დედას აგინებს და „არა ოკუპაციის“ სახელით აქციებს გვიწყობს, რუსული აგენტურაა?**

— დიახ, ეს ხალხი, ცალსახად, რუსულ საქმეს აკეთებს. ყველაზე ვერ გეტყვით, მაგრამ ბევრი მათგანი, რა თქმა უნდა, რუსული აგენტურაა. დიახ, მაქარაშვილისნაირი ტიპები, ასევე, მამუკა გამყრელიძე, გრიგოლ ვაშაძე, სააკაშვილი, ბიძამისი — თემურ ალასანია და სხვები, რა თქმა უნდა, რუსული აგენტურაა. ყველაზე ვერ ვიტყვი, თუმცა, რასაც ისინი სჩადიან, საქართველოსთვის იმდენად დამაკნინებელია, რომ მნიშვნელობა აღარ აქვს რა ერქმევათ და რა მოტივებით აკეთებენ ყოველივეს.

**— ბატონო გოგა, „ვარდების რევოლუციამდე“ უკრაინიდან მომავალი სააკაშვილი მოსკოვში შეჩერდა და მხარდამჭერებს მიმართა. მოსკოვი იმ პერიოდში საქართველოში არსებულ საპროტესტო ტალღას უჭერდა მხარს?**

— მოსკოვი მხარს კი არ უჭერდა, არამედ მან თავად დაგვისვა საქართველოში სააკაშვილი. ჩამოვიდა ივანოვი. ეს ყველაფერი ძალიან კარგად მახსოვს. შევარდნაძე გადადგომას არ აპირებდა. რუსეთიდან ამხანაგი ივანოვი ჩამოფრინდა, შევარდნაძეს დახურულ კარს მიღმა შეხვდა და მან სწორედ ამის შემდეგ განაცხადა გადადგომის შესახებ. **სააკაშვილი საქართველოს ტახტზე იგორ გიორგაძემ და ივანოვმა დასვეს. მიშა რუსეთს ძალიან წარმატებულად ემსახურა. იმაზე მეტი რაც რუსეთმა საქართველოსგან სააკაშვილის მმართველობის პერიოდში მიიღო,** ძნელი წარმოსადგენია იმიტომ, რომ აღარც ცხინვალი და აღარც აფხაზეთი, პრაქტიკულად, რუსეთის ჰეგემონიის ქვეშ აღარ იყო და სააკაშვილმა უკან დაუბრუნა. დიახ, თანაც, არამარტო დააბრუნა, არამედ დააკანონა. გაგახსენებთ, რომ ახალგორის რაიონი, სადაც ახლა ყველაზე დიდი ჰუმანიტარული კატასტროფაა, ცხინვალის რეგიონს სააკაშვილმა შეუერთა. ამის შედეგად აღმოჩნდა მოსახლეობა და ეს რეგიონი მთლიანად რუსეთის ჰეგემონიის ქვეშ. ეს, ყველას, კარგად გვახსოვს.

**— სააკაშვილმა სტრატეგიული ობიექტების გადაცემით დაიწყო და აგვისტოს ომით დაგვირგვინა...**

— დიახ, მთელი სტრატეგიული ობიექტები რუსეთს უფეშქაშა. ბენდუქიძის განცხადება გავიხსენოთ: ყველაფერის გაყიდვა შეიძლება, სინდისის გარდაო. მაშინ, მე, მინისტრი ვიყავი და ვუპასუხე: სწორედ ის ყველაფერი არის სინდისი-მეთქი. ყველაფერს რომ გაყიდი სინდისი აღარ დაგრჩება და ასეც მოხდა. ხომ გვახსოვს გრიგოლ ვაშაძის წერილი აგვისტოს ომიდან უმოკლეს ხანში: ქართველი ხელოვანები ჩავლენ, იცეკვებენ, იმღერებენ და გაართობენ დამპყრობლებსო. ეს წერილი ყველას გვახსოვს. სააკაშვილის წერილიც გვახსოვს პუტინისადმი მიწერილი და ა.შ. ასეთი ფაქტები ბევრია.

**— გამოდის, პრო-დასავლურობის იარლიყმიწებებულებმა საქართველო შიგნიდან გამოხრეს?**

— გამოხვრით ვერ გამოხრეს, ამდენი ძალაც არ აქვთ რაც იმაზე მეტყველებს, რომ ამ მარგინალური ძალის აქციებზე ხან მათი ნათესავები დარბიან, ხან შვილები, ძმიშვილები, აქტივისტები. ეს არის მათი რესურსი. სხვა რესურსი, საქართველოს წინააღმდეგ, არ აქვთ. თუმცა, პროპაგანდისტული წყაროებით ცდილობენ შექმნან სურათი, თითქოს, საქართველოში დიდ მღელვარებას აქვს ადგილი. რეალურად, ასე არ არის. მოდის არჩევნები. ვფიქრობ, რომ რაც ჰქონდათ იმასთან მიახლოებულ შედეგსაც კი ვერ მიაღწევენ.

**— რით ახსნით, რომ ამ ტრაგიკომედიას დასავლეთი შორიდან უყურებს. რუსულ აგენტურას რატომ გვაჩეჩებენ ძალით?**

— დასავლეთი, ჩემო კარგო, ძალიან ფართო ცნებაა. რას ნიშნავს დასავლეთი? — იგი საკმაოდ ჭრელია და იქ, ძალიან სერიოზული პრობლემებია, მიმდინარეობს დეზინტეგრაციის პროცესი. ახლა, ბრექსიტმა, რეალურად, ევროკავშირიც კი სერიოზულად შეარყია — ერთ-ერთი უმსხვილესი ინსტიტუტი, რომელიც არსებობდა. დასავლეთში ყველას თავისი ინტერესი და პრობლემები აქვს. ამიტომ, ახლა, განსაკუთრებულ ყურადღებას ვერ მოგვაქცევს. თუმცა, ვფიქრობ, ევროპის მხრიდან, ვიზა-ლიბერალიზაციისა და თავისუფალი ვაჭრობის განხორციელება, რა თქმა უნდა, ჩვენთვის ძალიან მნიშვნელოვანია. იგივე, ხდება აშშ-ს მიმართულებით. ეს მარგინალები აპოკალიფსურ სურათს ხატავენ, რაც სინამდვილეს არ შეესაბამება. რთულ რეგიონში ვცხოვრობთ, რთული წარსული, მემკვიდრეობა შეგვხვდა. პირველ რიგში, ჩვენს აზროვნებას და ცხოვრების წესს გარკვეული გარდაქმნა სჭირდება, რათა უკეთესი გავხდეთ. თუმცა, ვთვლი, საქართველო საკმაოდ წარმატებული ქვეყანაა და ჩემი ღრმა რწმენით კიდევ უფრო მეტი პოტენცია გააჩნია.

**— და მაინც, ევროპამ, ევროკავშირმა ხომ იცის ვინ არიან პრო-დასავლურობის ნიღაბს ამოფარებული სააკაშვილი, ვაშაძე და ა.შ. რეაგირება რატომ არ ხდება?**

— ვაშაძე ნამდვილად არ იციან და ასი წელი არც აინტერესებთ ისევე, როგორც სააკაშვილი. სააკაშვილი წარსულია, ღრმა წარსული. იგი ევროპას არ ადარდებს. მათ უამრავი რუპორი აქვთ და სწორედ იქედან, ცდილობენ ქართული საზოგადოებისთვის საკუთარი აზრის მოხვევას, მაგრამ არ გამოსდით.

**— ავიღოთ, „ნაციონალების“ პარტნიორი „ევროპის სახალხო პარტია“, რომელიც კრიზისულ სიტუაციაში ისეთ მხარდაჭერას უცხადებს რუსეთს, რომ „ედინაია რასიას“ ფილიალი გეგონებათ.**

— „ევროპის სახალხო პარტიას“ თავისი გასჭირვებია. მათი ხელმძღვანელი და 28 წევრი კორუფციაში იყვნენ მხილებულნი. პროცესები რთულად მიდის. ახლა, ხელმძღვანელობა გამოიცვალა და ვფიქრობ, ცოტა გაჯანსაღდებიან. ამ მარგინალური ძალის და მათი ამფსონების მიერ ჩატარებული გამოკითხვები, უკვე ძალას კარგავს. ვინ დაიჯერებს, რომ საქართველოში ყველაზე პოპულარული პოლიტიკოსები ბაქრაძე, სააკაშვილი და ნათელაშვილი არიან. ლორა ტორნტონს თუ ამის სჯერა, დაიჯეროს. ვფიქრობ, ქართველი საზოგადოება ბევრად უფრო გონიერი და ბრძენია.

**— ბატონო გოგა, სააკაშვილის გამოსვლას თუ უყურეთ „მთავარ არხზე“ და რა შთაბეჭდილება დაგრჩათ?**

— დიახ, ვუყურე. ნუ, რა უნდა გითხრათ ამ სიგიჟეზე. თუმცა, ერთიც არის: ამ გიჟებს ქვეყანა არ უნდა გადავაყოლოთ. ამ ფაშიზმის მთავარი იდეოლოგები ბოკერია და რამიშვილი იყვნენ. დღეს კი, ფაშიზმის იდეოლოგი საქართველოს პარლამენტში ვითომ პრო-ევროპულ პარტიას წარმოადგენს. ამაზე კომენტარიც კი ზედმეტია.

**— ბატონო გოგა, როგორ ფიქრობთ, ჩვენმა საზოგადოებამ ბოლომდე იცის რა დანაშაულობები დგას რეალურად იმ 9 წლიანი რეჟიმის უკან?**

— დიახ, ფაქტები ბევრია, რის საქმის კურსშიც საზოგადოება ნამდვილად არ არის. კი ყველამ იცის ბუტა რობაქიძის, გირგვლიანის, ცოცხების საქმე, მაგრამ ამის გარდა უამრავი დანაშაულია ჩადენილი. როცა ფილმს ვიღებდი და ციხეში, მორგში ვიყავი, ვერ შევძელი სცენის გადაღება, რაც რეალურად ახალკაცს დამართეს. იგი 24 საათი მორგში გვამზე იყო მიბმული.. საზოგადოებას ვერ ვაკადრე ამ სცენის გამეორება. ამის გარდა, გავიხსენოთ მეგრელი კაცის სასოწარკვეთილი კივილი, რომელსაც ვიაგრა დაალევინეს. ამ ყველაფერს ახალაიები აკეთებდნენ. ციხეში მთვრალები მიდიოდნენ, „ზილინას“ თამაშობდნენ, პატიმრებს მუხლებზე აყენებდნენ და ზემოდან აშარდავდნენ — აგრილებდნენ. დიახ, ამის შესახებ საზოგადოებამ უნდა გაიგოს. დიდი წიგნი უნდა გამოიცეს მათ მიერ ჩადენილი შემზარავი დანაშაულების შესახებ და ყველა, ვინც ამას ჩადიოდა, სახალხოდ უნდა იქნას მხილებული.













**თამარ შველიძე**
555 23 28 24

# დიდი არმენული შეთქმულება საქართველოს და რუსეთის წინააღმდეგ

## 20 ივნისი იყო არმენული პუტჩი საქართველოში

- **ამერიკის არმენული ლობი გარიგდა რუსეთის არმენულ ლობთან, რომ ისინი რუსეთს დაშლიან, რის სანაცვლოდაც არმენები ჯილდოდ მთელ კავკასიას მიიღებენ.**
- **პუტინის კარზე არმენული ლობი კიდევ უფრო ძლიერდება – წარმოშობით სომეხ ლავროვს წარმოშობით სომეხი მიშუსტინი დაემატა პრემიერის რანგში.**
- **ირანის განადგურების შემდეგ რუსთის ჯერი დადგება, რაშიც არმენული ლობი საქართველოს ჩათრევას ლამობს.**
- **რუსეთმა კი არა, საქართველომ უნდა იხსნას რუსეთი. ამას მე კი არა, დიდი წმინდანი სერაფიმე საროველი ამბობს: „სტარშაია სესტრა ივერია სპასიტელნიცა ზემლი რუს“.**



***ინტერვიუ „იბერიულ-კავკასიური მოძრაობის“ ლიდერთან ბესო მიქავასთან***

**— ბატონო ბესო, 2020 წელს პირველად ვხვდებით ერთმანეთს. მინდა მოგილოცოთ ახალი წლის დადგომა, წარმატებები და ყოველივე კარგი გისურვოთ.**

— მეც გილოცავთ, ჩემს სამშობლოს ვულოცავ. ძლიერების და ბრწყინვალების დაბრუნებას ვუსურვებ.

აი, ვსაუბრობთ ახლა და იმაზე მეღიმება მწარედ, რაც ვილაპარაკეთ მე და თქვენ ჩვენს ინტერვიუებში გასულ წელს — ყველაფერი თანმიმდევრობით და თითქმის ზედმიწევნით სრულდება.

**— რას გულისხმობთ?**

— გაიხსენეთ, მე გეუბნებოდით: არმენული ლობი მნიშვნელოვნად გააქტიურდა. ყველა მიმართულებით-მეთქი.

ახლახან ირან-ამერიკის კონფლიქტისას ფაშინიანმა გამოაცხადა, ამ კონფლიქტში ნეიტრალური ვიქნებიო.

მე ადრე ვთქვი და კიდევ ვიმეორებ: ირანიდან საქართველოში შემოდიან არა ირანელები, არამედ ირანული წარმოშობის არმენები-მეთქი, რადგან ირანში უკვე ისმოდა ხმები მოსალოდნელი ომების შესახებ და ისინიც აქეთ გამოეშურნენ.

მე ხელთ მაქვს მაქსიმ შევჩენკოს სატელევიზიო ინტერვიუს ფრაგმენტები, სადაც ის ლაპარაკობს არმენული შეთქმულების შესახებ რუსეთისა და საქართველოს წინააღმდეგ.

მოგეხსენებათ, ირანის კონფლიქტი დიდი ხანია მზადდება, თუმცა რამდენჯერმე გადაიდო სირიის საკითხებთან დაკავშირებით, რადგან სირია არის გზა ირანისკენ, ირანი კი გახლავთ გზა რუსეთისაკენ კავკასიის გავლით. ეს ძალიან კარგად იცის ფაშინიანმა, მაგრამ მან მაინც ნეიტრალიტეტი აირჩია. ეს აშკარად, ფარულად კი მას სურს რუსეთს დაშლა, ოღონდ, გლობალური გეგმის მიხედვით, ამაში საქართველომაც უნდა მიიღოს მონაწილეობა.

მაგრამ იცით თქვენ რატომ და როგორ შეიქმნა ის ე.წ. „შავი სია“, ნაციონალებმა რომ შეადგინეს?

**— რა თქმა უნდა, არა.**

— ეს გახლავთ ქართველების წინააღმდეგ შედგენილი სია და მიმართულია იქითკენ, რომ ქართველები გაგვყარონ ამ ტერიტორიიდან.

**— სომხეთს დავუბრუნდეთ ცოტა ხნით. მე ვფიქრობ, ნეიტრალიტეტს იმიტომ ირჩევს ფაშინიანი, რომ ირანიც და ამერიკაც მისი მოკავშირეები არიან.**

— კი, ბატონო, მაგრამ ჩვენ არ ვიყავით სომხების მეგობრები აფხაზეთის ომში რომ ბაგრამიანის ბატალიონი გამოაგზავნეს? ლტოლვილების დაბრუნებას აფხაზეთში ხმა რომ საწინააღმდეგოდ მისცეს, ჩვენ რა, სომხეთის მტრები ვართ? მაგრამ ეს მაგათი ხასიათია. რუსეთს ისინი პირველები გაყიდიან.

**— რაც შეეხება ირანს...**

— ირანში ომი გარდაუვალია. ირანი, ალბათ, დაეცემა, მაგრამ ეს არაა ამერიკის მთავარი მიზანი, რადგან მისი გზები რუსეთისკენ და რუსული სიმდიდრეებისკენ მიდის, მით უმეტეს, გლობალური დათბობის პერიოდში, როცა დედამიწის რელიეფი ცვლილებას განიცდის. ამ დროს საერთო კლიმატიც იცვლება. იქ, სადაც ადრე სიცივე იყო, სითბო დაისადგურებს და რუსეთის ძალიან დიდი ტერიტორია საცხოვრებლად ოაზისი გახდება. უკვე დაწყებულია ეს პროცესები — მოსკოვში ახალ წელს თოვლი აღარ მოდის.

დედამიწის რელიეფის ცვლილებებთან დაკავშირებით ერთ ძალიან ცნობილ ქართველ მეცნიერთან მქონდა საუბარი. მან თქვა: მეტეორი რომ დაეცა დედამიწას, სრულიად შეიცვალა დედამიწის ზედაპირი და საერთო ლანდშაფტი. ასე მოხდა გამყინვარების პერიოდში. მაშინაც დაეცა გიგანტური მეტეორი და პლანეტა გადაიხარა, სადაც თბილი, ნაყოფიერი ადგილები იყო, იქ აცივდა, მაგრამ ეს არაა ახლა მთავარი. მთავარია ის, რომ დედამიწის ორმოცდამეორე პარალელს, ანუ კავკასიის ზოლს, არ ეხება არავითარი გამყინვარებები და გლობალური დათბობები, რადგან დედამიწის შუაგულშია და არა პოლუსებთან ახლოს. ვიმეორებ: რუსეთში კლიმატი სრულიად შეიცვლება და რუსეთის ტერიტორია პირდაპირი სამოთხე გახდება ადამიანებისთვის.

ასე რომ, დღეს სხვა დაინტერესებულ ხალხთან ერთად რუსეთის წინააღმდეგ არმენებიც არიან შეკრული.

მოკლედ, რუსებს უტევენ ახლა არმენები ფარულად. რადგან რუსეთში უკვე დაწყებულია პოლიტიკური კრიზისებიც.

**— რუსეთის მთავრობა გადადგა.**

— მაგრამ ამას წინ ჩეჩნეთის ლიდერის რამზან კადიროვის გადადგომა უძლოდა. მოგეხსენებათ, კადიროვს უძლიერესი ჯარი ჰყავს და აქვს ფართო მოკავშირული ქსელი მუსლიმანურ სამყაროში. არც ისაა გამორიცხული, კადიროვს კავშირები ჰქონოდა ირანელ გენერალ ყასემ სულეიმანთან.

**სხვათა შორის, ყასიმ სულეიმანის მეუღლე ქართველია, აბაშიძის ქალი. ამაზე ქართულ პრესაში ადრე დაიწერა კიდეც.**

მაგრამ ასეთ არეულ ვითარებაში, რა აუცილებლობა და საჭიროება იყო, რუსეთის მთავრობის გადაყენების? მით უმეტეს, რომ რუსეთის ახალი პრემიერი სომხური წარმოშობისაა? საქმე ისაა, რომ **ამერიკის არმენული ლობი გარიგდა რუსულ არმენულ ლობთან იმაზე, რომ არმენულმა ლობმა რუსეთში თავად რუსეთი ჩააბაროს და დაშალოს. არმენები ამისთვის ჯილდოდ კავკასიას მიიღებენ. მაგათი ოცნებაც ხომ ეს არის? „ველიკაია არმენია“ მთელი კავკასია უნდა იყოს.**

ამერიკელები მხარში უდგანან მათ, იქ არსებული არმენული ლობის მეშვეობით. ამიტომაც იყო თურქების მიერ სომხების გენოციდი ამერიკამ ერთ-ერთმა პირველმა რომ აღიარა. ეს კი ნიშნავს, რომ თურქეთის დაშლაც კარზეა მომდგარი. თუმცა თურქეთის დაშლით მათთვის სანუკვარი ზღვაზე გასასვლელი არმენებს მაინც არ ხვდებათ წილად, რადგან თურქეთში 4 მლნ. ლაზი ცხოვრობს, რომლებიც თურქეთის დაშლის შემთხვევაში, დედასაქართველოსთან შეერთებას გადაწყვეტს. თურქეთის ნაწილი ბერძნებისაა, ნაწილი ქურთების, ცოტა ნაგლეჯი არმენებს კი დარჩებათ, თუმცა, როგორც ვთქვი, ეს ის არ იქნება, რაზეც ოცნებობენ ოდითგანვე.

სხვათა შორის, რამდენიმე ხნის წინ თურქებმა იმ საბუთების გამოქვეყნება დაიწყეს, რომლებიც ადასტურებენ ქართული ტაძრების არსებობას თურქეთის ტერიტორიაზე.

**— რატომ?**

— იმიტომ რომ, მათ მშვენივრად იციან, დღეს საქართველოს არ აქვს იმის ძალა, რომ დაიბრუნოს წართმეული ეკლესიები, რაც, ცხადია, ტერიტორიას გულისხმობს, რადგან ამდენ ეკლესიას სხვის ტერიტორიაზე არავინ აშენებს. **თურქები აშკარად აღიარებენ, რომ იშხანი, პარხალი, ოშკი, ბანა და სხვები ქართული ტაძრები და სამონასტრო კომპლექსებია. ახლა თურქებს ურჩევნიათ, ეს იყოს ქართული და არა არმენული ტაძრები,** რადგან არმენებს შესწევთ დღეს ძალა თავისის დაბრუნების და მეტიც, სხვისასაც ეპოტინებიან.

ახლახან გარეგინი იყო ვიზი-











ტით თურქეთში. მას შემდეგ, რაც თურქებმა ისტორიული საბუთების გამოქვეყნება დაიწყეს. როგორც ჩანს, მოლაპარაკება მიმდინარეობდა იმაზეც, რომ დოკუმენტების გამოქვეყნებისგან თურქულმა მხარემ თავი შეიკავოს, რათა მსოფლიომ არ გაიგოს იმის შესახებ, რომ ეს ტერიტორიები ქართველების იყო. არმენები წინდაწინ იჭErენ თადარიგს, თურქეთის დაშლის შემთხვევაში, ტერიტორია არა ქართველებს, არამედ მათ დარჩეთ.



პარალელური პროცესები ვითარდება აფხაზეთში. ლავროვი პირადად იყო ჩასული იქ. მას შემთხვევით არ დაულევია ყავა სოხუმის ბულვარში. არმენები ითხოვენ, რომ აფხაზეთში არსებული ყველა ქონება პრივატიზაციას დაექვემდებაროს. იქ, რა თქმა უნდა, ყველაფერს შეისყიდიან არმენები. ამას მიხვდნენ აფხაზები და ყველამ დავინახეთ, პირდაპირ დიალოგს ითხოვენ საქართველოსთან.

ლავროვმა და არმენულმა ლობმა კარგად იციან, რომ აფხაზეთის დამოუკიდებლობა ნიშნავს არმენების დამოუკიდებლობას აფხაზეთის ტერიტორიაზე.

ირანში არის არმენების ძალიან დიდი დიასპორა.

თქვენთან ინტერვიუში ადრეც ვახსენე სოფო შევარდნაძის შეკითხვა ფაშინიანისადმი: ვის მხარეს ხარო, რომ ჰკითხა, ფაშინიანმა უპასუხა: სასამართლო რეფორმას ვაპირებ, თორემ ისე რუსეთის მხარეს ვდგავარო.

უკვე გამოჩნდა, რომ ფაშინიანი ანტირუსული, ანტიკავკასიური ძალების გვერდით დგას.

**— რადგან ირანის განადგურება რუსეთისკენ გზის გახსნას ნიშნავს, როგორც წეღან თქვით?**

— დიახ, დიახ. ამის შემდეგ რუსეთის ჯერია. რუსეთს დაუწყებენ პირდაპირ ომს.

**— რუსეთმა ჩვენი ტერიტორიების ოკუპაცია მოახდინა და გამოდის მას უნდა ვგულშემატკივრობდეთ?**

— ჩემო კარგო, რუსეთმა საქართველოს ოკუპაცია მოახდინა ჯერ კიდევ 1992 წელს. 1993-ში კი მეორეჯერ, როცა ხელმეორედ დაამხო ხელისუფლება საქართველოში და სრული ოკუპაცია მოახდინა სამეგრელოს ტერიტორიის.

2008 წელს რაც მოხდა, ამის შესახებ მოლაპარაკებული იყვნენ წინასწარ და ჩემი დიდი ვარაუდით, სააკაშვილიც იყო ჩართული ამ მოლაპარაკებაში.

არმენები ფიქრობენ რუსეთის ჩაბარებას კავკასიის სანაცვლოდ. ეს გეგმა არსებობს. თუმცა რომც ჩააბარონ არმენებს კავკასია, ისინი კავკასიას ვერ მართავენ. მათ არც ჩეჩნები დაემორჩილებიან, არც ინგუშები, არც ყაბარდო, არც დაღესტანი, არც აზერბაიჯანი.

**ერთადერთი ერი, ვისაც კავკასიელები თვლიან თავის უფროს ძმად და პატივს სცემენ, რადგან ეს უფროსი ძმა ყოველთვის იცავდა კავკასიის ინტერესებს, არის ქართველი ერი.**



„კავკასიური სახლის“ დაფუძნების იდეა ზვიად გამსახურდიასგან ეს იყო პირდაპირ გეგმის ჩაშლა. მას მაშინ სასტიკად დაუპირისპირდა ანდრეი სახაროვის ცოლი, ქალბატონი ბონერი, რომელიც ალიხანიანი გახლავთ. სინამდვილეში, ბონერი მისი პირველი ქმრის გვარი იყო.

კიდევ ვიმეორებ: ერთადერთი ერი, ვინც მათ ხელს უშლის, არის ქართველი ერი, რომელიც საბჭოთა კავშირის დაშლის შედეგად კი არ არის აღმოცენებული სახელმწიფოდ, არამედ რეალურად დამოუკიდებელი სახელმწიფოა ოდითგანვე.

კავკასიის შესახებ, ისევე, როგორც სხვა საკითხებისადმი, აშშ-ში მიმდინარეობს წინააღმდეგობები ტრამპისტებსა და მაკკეინისტებს შორის. მაკკეინისტების მიზანია, კავკასია გადაეცეს უცხო ტომს, უცხო თესლს, რათა მან საბოლოოდ შეწყვიტოს არსებობა. როგორც ჰეგელი ამბობს, ცივილიზაცია კავკასიის ნაყოფიაო, შეწყდეს სწორედ ცივილიზაციის აკვნის არსებობა. აქ საუბარია, ცხადია, ზნეობრივ და სულიერ განვითარებაზე, რომლის წინააღმდეგი არიან სწორედ მსოფლიოს აგრესიული ძალები.

მართლმადიდებლობის წინააღმდეგ ბრძოლაც ამ ჭრილში მიმდინარეობს. მართლმადიდებლობა ადამიანის ზნეობის, სულიერების რელიგიაა და ეს უნდათ რომ მოსპონ ადამიანებში.

ნურავინ ნუ გააიგივებს მართლმადიდებლობას მღვდლებთან და მღვდელმთავრებთან, ნურც იმ „ნასედკა“ ეპისკოპოსებთან, რომლებიც ძირს უთხრიან დღეს ქართულ ეკლესიას. ასეთები ყოველ დროში იყვნენ.

ჯერ კიდევ 90-იან წლებში გამოჩნდა ვიღაც მღვდელი, გვარად მუხურაძე, რომელიც ამბობდა: ილია II საქართველოს ბოლო პატრიარქიაო, მაგრამ რატომაა ბოლო პატრიარქი, საქართველოს ეკლესია უქმდება?

**— შეიძლება იმას გულისხმობდა, პატრიარქმა რომ თქვა საშობაო ქადაგებაში — მეორედ მოსვლა დაწყებულიაო.**

— არა, ჩემო ბატონო. წმინდა წერილები გვაუწყებს: სანამ ანტიქრისტე არ გამეფდება, მეორედ მოსვლა არ იქნება!

ამას წინ უნდა უძღოდეს სოლომონის ტაძრის მესამედ აღდგენა.

სოლომონის ტაძარს ომარის მეჩეთი ადგას. სანამ ირანი ფეხზე დგას, ომარის მეჩეთი იარსებებს იერუსალიმში. ეს პროცესები ჯერ ჩანასახშია, ბატონებო, ამიტომ ჯერ მეორედ მოსვლა არ იქნება.



ამასთანავე, ივერიის ღვთისმშობლის ხატმა უნდა დატოვოს ივერონი, ათონის მონასტერი, რომელიც ზღვაში უნდა ჩაიძიროს. მაშინ გაბრწყინდება ივერია და ხსნა, დაუძლურებულ რუსეთს, საქართველოდან ექნებაო. ამას წერს კიდევაც რუსეთის დიდი წმინდანი სერაფიმე საროველი, რომელიც ამბობს: „სტარშაია სესტრა ივერია სპასიტელნიცა ზემლი რუს“.

როგორც გითხარით, დღეს არმენები რუსეთის დაშლას ჩვენი ხელით ცდილობენ, რომ გაბოროტებულმა გადაგვთელონ ჩვენ. პროცესი მიმდინარეობს: უკვე უნდათ სტალინის გადასვენება კრემლის ეზოდან, მაშინ, როცა კერპი უდევთ სარკოფაგში შუა კრემლში. სტალინის გადაყვანა უნდათ კრემლიდან, კაცის, რომლის მსგავსი მმართველი რუსეთს თავისი არსებობის მანძილზე არასდროს ჰყოლია. უზარმაზარი იმპერია შეუქმნა სტალინმა რუსეთს.

**— მაგრამ საქართველოს შიდა პოლიტიკაზე არაფერი გვითქვამს. დღეს შაბათია (18. 02. 2020), ვშიშობ, სანამ გაზეთი გამოვა, პრემიერ-მინისტრი გადაყენებული არ იყოს... კულისებში მიმდინარეობს ამაზე ჩურჩული.**

— თუ გახარია გადააყენეს, ეს იქნება არმენული ლობის პირდაპირი მოთხოვნა, რადგან, 20 ივნისი, იყო არმენული პუტჩი საქართველოში.

საქართველოს პარლამენტი დღემდე არ აძლევს პოლიტიკურ შეფასებას 20 ივნისის მოვლენებს, რადგან ეს დამოკლეს მახვილი გახარიას თავზე უნდა ეკიდოს სულ, სანამ ის პოლიტიკაშია. თუ გაიმარჯვეს საქართველოს მტრებმა და გახარია გადააყენეს, საკითხი სხვანაირად შემობრუნდება: ვინც 20 ივნისს იცავდა სახელმწიფოს, დაიწყება იმათი დასჯა. ის ე.წ. „შავი სია“ შემთხვევით კი არ ქვეყნდება?!..

რაც მოვყევი, ეს მოვლენები და ფაქტები არ არის ცალ-ცალკე მდგომი, ყველაფერი გადაჯაჭვულია ერთმანეთთან.

ამ ომებსა და კონფლიქტებში ყველას თავისი ფუნქცია და ინტერესები აქვს.

ამ ომში „ტორტის“ ძალიან კარგი ნაჭერი — კავკასია დევს.

საქართველოს პირველმა პრეზიდენტმა ზვიად გამსახურდიამ თქვა: ყველა იმპერია დაინგრა, რომელიც კავკასიას მოადგაო.

დღეს, ვისაც სურს მსოფლიოს ბატონობა, ის მოადგა კავკასიას, რადგან ირანის მერე იწყება კავკასია რუსეთისკენ მიმავალ გზაზე.

ჩვენ წინ მძიმე დღეები გველის, მაგრამ კავკასია არის უძლეველი.

მივმართავ კავკასიის და საქართველოს მტრებს: ვინც მახვილი აღიღოს, მახვილითვე შეიმუსროს.

**ირანდა კალანდაძე**
**593 56 11 18**



# პირშოუს პირშავები და დასპოილერებულები გვარამიას „საქათმედან“ და კეზერაშვილის „უზორნიიდან“

„მავნებმა“, ანუ „ნაცბოტებმა“ მოგვიანებით გაავრცელეს „ფეიკ-ნიუსი“, გახარიას შავ-ბნელი წარსული აქვს და ამის შესახებ მასალები დაუდეს ბიძინა ივანიშვილს მაგიდაზეო. შემდგომ დღეებში ბაჩუკი ქარდავას სააგენტომ („ნიუ პოსტი“) დავით კეზერაშვილის „ფორმულაზე“ დაყრდნობით ისეთი ინფორმაცია გამოაცხო, გეგონება სააკაშვილის ბიძას, თემურ ალასანიას და თავდაცვის ყოფილ მინისტრს — დავით კეზერაშვილს ეხებათ, მაგრამ აქ გიორგი გახარია ჩაუწერია თ. კეზერაშვილ-ქარდავას მტკიცებით, გახარიას პოსტის დატოვების შესაძლო მიზეზად ირანული ფულის გათეთრების საქმე სახელდება. კი, მაგრამ ინფორმაციას გამყარება ხომ უნდოდა? ჰოდა, იპოვეს კიდეც — ვინმე ამერიკელი ანალიტიკოსი ქრისტინა პიშოუ, რომელიც თურმე ამ თემაზე ღიად საუბრობს:



●

„ვიცი მინისტრ გახარიას ურთიერთობების შესახებ რუსეთთან. როგორც იცით, რუსეთი და ირანი თანამშრომლობენ, განსაკუთრებით ბოლო პერიოდში, სირიასთან დაკავშირებით. აშკარაა, რომ ისინი მჭიდროდ თანამშრომლობენ ახლო აღმოსავლეთში ამერიკის წინააღმდეგ. შემდეგ საინტერესო და საეჭვო ის იყო, როდესაც გახარია ეკონომიკის მინისტრად დანიშნეს, ირანიდან ინვესტიცია გაიზარდა 600%-მდე. ეს შეიძლება, კანონიერი ყოფილიყო თუმცა, „**WALL STREET JOURNAL**-მა“ და შეერთებული შტატების ხაზინამ ისიც დაადგინა, სხვა კორესპონდენტებმაც, რომ საქართველოში 150-ზე მეტი საფარქვეშ მომუშავე კომპანია გამოიყენა საქართველოში ირანის რევოლუციის გუშაგთა არმიამ, რომელსაც ჩვენ ტერორირსტულ ორგანიზაციად ვთვლით. ამ კომპანიებს ისინი ირანული ფულის გასათეთრებლად იყენებენ, სანქციებს რომ თავი აარიდონ. ეს არ ადასტურებს იმას, რა ურთიერთობა აქვს გახარიას ირანთან. ჩემთვის ამან უბრალოდ კითხვები გამოიწვია იმ ამბის გამო, რომელიც გსმენიათ — ბოლო პერიოდში, გახარიას ბრძანებით, ამერიკის ოქროს მოწმეც დააკავეს“.

●

ირანი და რუსეთი ერთმანეთთან მჭიდროდ რომ თანამშრომლობენ, იცით, ხომ? ირანი და რუსეთი რომ ახლო აღმოსავლეთში ამერიკის წინააღმდეგ მჭიდროდ თანამშრომლობენ, ესეც გეცოდინებათ, არ უნდა ჟიჟინი! ჰოდა, როდესაც გახარია ეკონომიკის მინისტრად დანიშნეს, ირანიდან ინვესტიცია 600%-მდე გაიზარდა... წარმოგიდგენიათ? შეიძლება ეს კანონიერი იყო, მაგრამ ვინმე ქრისტინა პიშოუ (რომლის შესახებ ინფორმაცია „გუგლშიც“ კი არ იძებნება და მგონი გამოგონილია) მაინც დაეჭვდა, ეს როგორ და რანაირადო? ამდგარა ეს პიშოუ, წაუკითხავს „**WALL STREET JOURNAL**“-ი, მოუძიებია შეერთებული შტატების ხაზინის მონაცემები, გაცნობია სხვა კორესპონდენტების მასალებსაც და დაუდგენია, რომ თურმე საქართველოში 150-ზე მეტი საფარქვეშ მომუშავე კომპანია გამოიყენა საქართველოში ირანის რევოლუციის გუშაგთა არმიამ. ეს უკვე ყურით მოთრეული ამბავია, აშშ-ის ხაზინას რომ ამგვარი ინფორმაცია ჰქონდეს, ეგრევე ჩაწერდა თავის ანგარიშში და გამოაქვეყნებდა. მეტიც, თუ საქართველოში 150 ორგანიზაცია ფარულად ირანელი ტერორისტების სასარგებლოდ მუშაობდა, ეგრევე ჩაგვწერდნენ ტერორისტი ქვეყნების სიაში და დონალდ ტრამპი ხელს არ მოაწერდა 132 მილიონი დოლარის გამოყოფას საქართველოსთვის, რომელიც 2020 წელს უნდა მივიღოთ. ამასთანავე, დაუკვირდით, როგორ არის წინადადება „აწყობილი“: „საქართველოში 150-ზე მეტი საფარქვეშ მომუშავე კომპანია გამოიყენა საქართველოში ირანის რევოლუციის გუშაგთა არმიამ“. საქართველოში საფარქვეშ მომუშავე 150 ორგანიზაცია გამოიყენა საქართველოში გუშაგთა არმიამ. როგორ მოგწონთ, ხომ კარგადაა „ჩაჩიქორთულებული“?

ახლა კი მთავარი, ანუ ბრალდების ფინალი: ვინმე ქრისტინა პიშოუ ამბობს, ჩემი ვარაუდი არ ადასტურებს, რომ გახარია ირანელებთანაა შეკრული, უბრალოდ კითხვები გამიჩნდა და მას შემდეგ, რაც გახარიას ბრძანებით ამერიკის ოქროს მოწმეც დააკავეს, ეჭვები გამიღრმავდაო. ნახეთ, როგორი „არასამთავრობო სტილი“ აქვს პიშოუს კეზერაშვილთან ერთად, უბრალოდ კითხვები გაუჩნდა, მერე რა მოხდა, თუკი თავისი მოსაზრება გამოთქვა? ჩვენში „მოღვაწე“ არასამთავრობოებმაც ასე იციან ხოლმე, ადამიანს მოთხრიან, ათას სიბინძურეს მიაწერენ და ბოლოს აცხადებენ, არაფერს ვადასტურებთ, უბრალოდ კითხვის ნიშნები გაჩნდაო. სხვათა შორის, მეც გამიჩნდა კითხვები ვინმე პირშოუსთან დაკავშირებით და შემიძლია თამამად მოგახსენოთ, რომ არავითარი ქრისტინა, არავითარი აშშ-ის ხაზინის ინფორმაცია, არავითარი ირანული ორგანიზაციები და არავითარი ფულის გათეთრება არ არსებობს, ეს ყველაფერი შეთითხნილია კეზერაშვილის უბორნიის მიერ.





რა მიზანი აქვს ე.წ. ოპოზიციას, ასეთ სიბინძურეს რომ ავრცელებს? ამ შეკითხვას გაქსუებულმა მიხეილ სააკაშვილმა უკვე უპასუხა, როცა „მთავარი არხის“ ეთერში ავადმყოფ გვარამიას უთხრა, 20 ივნისის ღამეს შანსი ხელიდან გავუშვით, თორემ ეხლა ხელისუფლებაში ვიქნებოდითო. ვინ გააშვებინა შანსი ხელიდან ამ ნაძირალებს და მანამდეც ვინ ალაგმა დაფინანსებული აქციები? რა თქმა უნდა, გახარიამ და რაღა გასაკვირია, თუკი ავანტიურისტების თავარი სამიზნე იგივე გახარია იქნება? რამდენიმე თვე იდგნენ რუსთაველზე, ათასი სისულელე მოიგონეს ბოქლომებით დაწყებული, სასტვენებით, პლაკატებით და სიგიჟეებით დამთავრებული, ლამის ყულფებში გაუყარეს უტვინო თავები, მილიონები ხარჯეს, მაგრამ ვერ მოიშორეს ეს კაცი, ვერ გააგდეს ხელისუფლებიდან. პირიქით, იყო შინაგან საქმეთა მინისტრი და მიიღეს პრემიერ-მინისტრად. ეს კი ძალიან მძიმეა ე.წ. ოპოზიციისთვის და ავანტიურისტ სააკაშვილისთვის. ამიტომ, ახლა გადაწყვიტეს, შემოაგდონ თემა, რომლითაც (თავიანთი ჭკუით) ეჭვებს გაუჩენენ ამერიკელებს, ანუ მიანიშნებენ, ნახეთ, ვისთან მეგობრობს საქართველოს პრემიერ-მინისტრიო, თქვენს მტრებთან, ხალხო, თქვენს მტრებთანო. ისე, არ დაგიმალავთ და პირდაპირ გეტყვით, რომ ამ „ფეიკმა“ სულწაწყმედილი ე.წ. ოპოზიციისთვის შედეგი არ გამოიღო, ვერ იმუშავა, კი აჰყვნენ ე.წ. დამოუკიდებელი ტელევიზიები ერთ ხანობას, მაგრამ მალევე ჩაუქრათ „აგიზგიზებული კოცონი“.

რაც შეეხება სამთავრობო ცვლილებებს, შესაძლებელია, 2020 წლის საპარლამენტო არჩევნებთან დაკავშირებით მართლაც განხორციელდეს. მაგალითად, მე და ჩემნაირები დიდი სიამოვნებით ვიხილავდით გიორგი გახარიას „ქართული ოცნების“ საპარლამენტო სიის სათავეში. ვფიქრობთ, ის ბრწყინვალედ შეასრულებს გამწევი ძალის ფუნქციას. თუმცა ეს არ ნიშნავს იმას, რომ დანარჩენი კანდიდატები სათრევები უნდა იყვნენ. ვაღიაროთ, საპარლამენტო უმრავლესობის დღევანდელ შემადგენლობას (ვინც დარჩა) არ შესწევს უნარი და არც საიმისო „ბაგაჟი“ აქვს, რომ 2020 წლის არჩევნები დამაჯერებლად მოიგოს. რაც მთავარია, ამ მოფახფახებულ „სასტავს“ მოსახლეობაში არ გააჩნია ავტორიტეტი. ამიტომ, ვიმეორებ, თუ იქნება სიის სათავეში გახარია და შემდეგ ამ სიაში ჩაიწერება „ხარისხიანი“ ხალხი, დღევანდელი ისედაც გაფარჩაკებული ე.წ. ოპოზიცია პირწმინდად გაფარჩაკდება. მე და ჩემნაირები ასევე ვფიქრობთ, რომ კარგი იქნება, თუ თავდაცვაში მშვენივრად მომუშავე ირაკლი ღარიბაშვილიც მოგვევლინება საარჩევნო სიის სათავეში, მისი ნიჭი და ენერგია აუცილებელია „ქართული ოცნებისთვის“. კიდევ ვინ შეიძლება, ითამაშოს გადამწყვეტი როლი ფარჩაკი ოპოზიციის დამარცხებაში, რათა ბოკერიები, გოგორიშვილები, ვაშაძეები თუ უდღეური მაჭუტაძეები შემთხვევით ვერ მოხვდნენ პარლამენტში? ასეთები კიდევ არიან... თუნდაც, ურიგო არ იქნება, კახა კალაძეც ჩაერთოს საარჩევნო ბრძოლაში, თუკი შეელევა თბილისის მერის თანამდებობას. ყოველ შემთხვევაში, ჩვენ არ უნდა გამოვრიცხოთ, რომ გაზაფხულიდან არჩევნებთან დაკავშირებით რაღაც სამთავრობო ცვლილებები იქნება და არც ის იქნება გასაკვირი, თუ დღევანდელი საპარლამენტო უმრავლესობის რამდენიმე წევრი მთავრობაში გადაინაცვლებს და შემდეგ უმტკივნეულოდ გაისტუმრებენ სახლში. ვნახოთ, დაველოდოთ, ცოტაც მოვითმინოთ, ჩვენ წინ ძალიან საინტერესო გაზაფხული, ზაფხული და შემოდგომა გველოდება.

**P.S**. ერთ დღესაც, როცა გიორგი გახარია გარდაბანში თბოელექტროსადგურის გასახსნელად ჩავიდა, კეზერაშვილ-გვარამიას ე.წ. ჟურნალისტები მიუხტნენ, ბატონო გიორგი, მართალია თუ არა, გადადგომას რომ გიპირობენო? ამან, პრემიერ-მინისტრმა მიუგო: რა გინდათ, ეხლა, მაინც და მაინც უნდა დაგასპოილეროთო? დაელოდეთ ფინალსო! დასპოილერება ქართულად ნიშნავს გაფუჭებას, სურვილის დაკარგვას. კი უთხრა ე.წ. ჟურნალისტებს გახარიამ, ეხლა არ გაგაფუჭებთო, მაგრამ ამ სიტყვით მაინც გააფუჭა — მათ პირი დააღეს, ეს რაღას ნიშნავსო? გახარიამ ისიც დაამატა, ფინალურ სერიას დაელოდეთო... ფინალური სერია კი მომდევნო დღეებში ასე ითარგმნა: ბიძინა ივანიშვილი პრემიერად, გახარია — უშიშროების საბჭოს მდივნად, საგარეო საქმეთა მინისტრ ზალკალიანს აშშ-ში ელჩად უშვებს, წულუკიანს კი კახა კახიშვილი შეცვლის. აქ მთავარი ბიძინა ივანიშვილის მეორედ მოსვლაა საინტერესო, რაც დამანგრეველი იქნება ე.წ. ოპოზიციისთვის. მე და ჩემნაირები, მაგალითად, მივესალმებით!

**გელა ზედელაშვილი**
555 48 48 61



# „ჩემი გმირი გიწოდე“...

ნაციონალების ძლევამოსილი გმირი, ოს მტერთან შეუდრეკლად მებრძოლი და გულანთებული დასტაქარი ვაჟა გაფრინდაშვილი ე.წ. სამხრეთ ოსეთის ციხეში რომ აღმოჩნდა საზღვრის უკანონო გადაკვეთის გამო, რუსული საინფორმაციო საშუალებები მაშინ წერდნენ: საქართველოს სამხედრო-სამედიცინო სამსახურის რეზერვის კაპიტანი ვაჟა გაფრინდაშვილი 9 ნოემბერს საზღვრის დარღვევის გამო დააკავესო.

ამ ამბის ქართულ საზოგადოებაში გაელვების შემდეგ ორი თვის განმავლობაში საქართველოს მედიასივრცეში ვაჟა გაფრინდაშვილის შესახებ მოსაზრებებით და შეფასებებით იწყებოდა და მთავრდებოდა ყველა პოლიტიკური ამბავი, გადაცემა და დისკუსია. ჩვენი ბატონი ვაჟიკო კი იჯდა ბიბილოვის ციხეში და როგორც მერე განაცხადა: ოსები ჭამა-სმას არ აკლებდნენ. ეგ იყო, როგორც თვითონ თქვა, ოჯახი ენატრებოდა, თორემ სხვა მხრივ არამიშავდაო.

ინტერნეტსაიტები ავრცელებდნენ მაშინ ინფორმაციებს, რომ ბატონი ექიმი, სანამ ოკუპირებულ საზღვარს გადაკვეთდა, ბალტიისპირეთში იმყოფებოდა, კერძოდ, ესტონეთში. ის 4 ნოემბერს დაბრუნებულა თბილისში და შემდეგი ოთხი დღე ჩვეულებრივ დადიოდა თურმე სამსახურში, თბილისში, „მედიქლაბ-ჯორჯიაში“, სადაც პაციენტებისთვის უთქვამს: შაბათ-კვირას თბილისში არ ვიქნები, ორშაბათს, 11 ნოემბერს, შეგიძლიათ მობრძანდეთო.

9 ნოემბერს ბატონი ექიმი საზღვრის უკანონო გადაკვეთის გამო დააკავეს.

თავდადებული დასტაქარი — აქეთ, თბილისში პაციენტებს უვლის, მერე რისკავს, ოკუპირებულ ტერიტორიაზე მიდის, თავს სწირავს, რომ ერთ, ხიდან გადმოვარდნილ და ჭაში ჩავარდნილ, კიდურებმოტეხილ პაციენტს უმკურნალოს.

გმირი ექიმი გვყავს ჩვენ.

ესკულაპე იამაყებდა თქვენით, ვაჟა-ექიმო მანამდე, სანამ გაიგებდა, რომ საზოგადოებისთვის უცნობი პირებისგან, ოფიციალური მონაცემებით, „საქართველოს ბანკში“ თქვენს სახელზე 525000 რუბლი, ანუ 21000 ლარი რომ გადმოირიცხა თქვენი ოსური ვიზიტის მერე. გვინდა ვიფიქროთ, ეს თანხა თქვენი სამედიცინო საქმიანობის ანაზღაურებაა, მაგრამ, დამერწმუნეთ, დიდ დასტაქარს, ექიმთა მამას — ესკულაპეს, ამაში ეჭვი შეეპარებოდა, მაგრამ, დავანებოთ თავი ესკულაპეს და ვაჟა-ექიმის „გმირულ“ პოლიტიკურ ნაბიჯებს გავყვეთ.

„მედიქლაბ-ჯორჯიას“ მედიკოსი ვაჟა გაფრინდაშვილი ე.წ. სამხრეთ ოსეთისკენ მაშინ გაეშურა, როცა საქართველოს დედაქალაქის ცენტრალურ მოედანზე კარვების ფონზე აქციები იყო გაჩაღებული და ე.წ. ოპოზიცია და ოპოზიციურად განწყობილი პოლიტიკური ძალები ხალხს ხელისუფლების შეცვლის თუ დამხობისკენ მოუწოდებდნენ. სამოქალაქო ქაოსის ზღვარზე იდგა მაშინ მუდმივი რყევებისგან ისედაც დაღლილი ქვეყანა.

ამ ვითარებაში გაფრინდაშვილის და ვიღაც უცნობის ფარული სატელეფონო საუბარი გავრცელდა, სადაც პატივცემული ექიმი იმ ვიღაც უცნობს ანგარიშებს აბარებდა: ახლა გადავედი, ახლა იქ ვარ და ახლა აქაო.

ჭაში ჩავარდნილი პაციენტი კი, ვითომდა, ელოდებოდა „გმირ“ ექიმს.

მაგრამ ვინ იყო ეს პაციენტი?

როგორც ამბობენ, ვაჟა-ექიმის ძველი ნაცნობი, ჯერ კიდევ დაუოჯახებელი მასწავლებელი ქალბატონი, რომელიც იმდენად „უმადური“ აღმოჩნდა, რომ „მისთვის“ თავგანწირული ექიმისთვის აქამდე საჯაროდ მადლობაც კი არ უთქვამს.

ჭაში ჩავარდნილი ქალის ჯანმრთელობის ამბავი არ ვიცით, მაგრამ ის კი გვიხარია, რომ ბატონი ექიმი უვნებლად დაგვიბრუნდა, თან პოპულარულიც გახდა გაუთვითცნობიერებელი ადამიანების თვალში, თან ხაბიზგინებს მიირთმევდა 49 დღე, თან გულანთებული და კეთილშობილი ყოფილა — საზღვარზე დაჭერას არ შეუშინდა და ავადმყოფის მანუალური მეთოდებით მკურნალობას აპირებდა...

ჯადოსნური ხელები ჰქონია ბატონ ვაჟას და რუსეთის და ე.წ. სამხრეთ ოსეთის სპეცსამსახურებმა კიდევ უფრო ახლოს რომ გაიცნეს, 21000 ლარი ჩაურიცხეს, პირად ანგარიშზე.





მერე ნაცების მისაბაძი კაცი გახდა, საზღვრის გადაკვეთის გამო თავი დამნაშავედ რომ ცნო და ბიბილოვს პატიება და შეწყალება რომ სთხოვა და ა.შ.

ეს ყველაფერი ვიცით, გავიგეთ, მაგრამ, ბატონი ვაჟა და მისი ქმედებები მაინც გამოცანად რჩება ჩემნაირი უბრალო მოქალაქისთვის და ახლავე მოგახსენებთ, რატომ:

ე.წ. სამხრეთ ოსეთის საზღვარი, როგორც ამბობენ, უმკაცრესად კონტროლდება. საზღვარზე ჩიტიც ვერ გადაფრინდება. იქაურები ამბობენ, საქონელი რომ გადავიდეს, გადმოსარეკად ნაბიჯსაც ვერ გადავდგამთ საზღვრის იქეთო.

ოფიციალურად ცნობილია, რომ ექიმი ვაჟა გაფრინდაშვილი სოფელ მონასტერში დააკავეს, როგორ გადაკვეთა საზღვარი ბატონმა ვაჟამ? რამდენადაც ვიცით, ის უჩინმაჩინის ქუდს არ ფლობს.

მოკლედ, ის დააკავეს სოფელ მონასტერში იქ, სადაც არავითარი კონტროლი არ არსებობს.

პაციენტის სანახავად ბატონ ექიმს ახალგორი უნდა გაევლო ქსნის ხეობით და არა სოფელი მონასტერი, რომელიც ახალგორიდან ისეა დაშორებული, როგორც, მაგალითად, კახეთში რომ მიდიოდე თბილისიდან და ჯერ გარდაბანში ჩახვიდე და იქედან გადახვიდე კახეთში. თანაც ფეხით, როგორც ბატონმა ვაჟამ იმოგზაურა ყარიბივით, ერთი ზურგჩანთით...

არც ერთ პაციენტს ე.წ. სამხრეთ ოსეთის ტერიტორიაზე არ მოუთხოვია არასდროს თბილისიდან ექიმი გამოგვიგზავნეთო. ყოველ შემთხვევაში, ასეთი რამ ოფიციალურად არ გახმაურებულა და კონსპირაციულად თუ ვინმე ვინმეს რაიმეს სთხოვდა, ეს არც სერიოზულობაა და არც რეალობასთან ახლოს მდგომი რამე, რადგან კონსპირაციულად საქართველოდან ექიმის გადაყვანა ერთი კონკრეტული პაციენტისთვის არ მომხდარა და არც შეიძლებოდა მომხდარიყო.

როგორც წესი, ოკუპირებულ ტერიტორიაზე მაცხოვრებლები, ავადმყოფობის შემთხვევაში, სთხოვენ საქართველოს ხელისუფლებას გახსნან გზა კონკრეტული ავადმყოფისთვის, რომ გადმოიყვანონ ის თბილისში სამკურნალოდ.




ჭაში ჩავარდნილ ქალბატონს, რამდენადაც ვიცით, თბილისში გადმოყვანაც კი არ მოუთხოვია ოფიციალურად და რაღა მხოლოდ ვაჟა გაფრინდაშვილი იხმო თავისთან მკურნალად, მით უმეტეს, რომ მარტოხელა მასწავლებელ ქალბატონს საკუთარ სახლში სამედიცინო აპარატურა არ ექნებოდა და ნუთუ ის ვაჟას ზურგჩანთის და თბილი ხელების იმედად იყო, მხოლოდ სპირტით და ბამბით ხელფეხმოტეხილი პაციენტისთვის როგორ უნდა ეშველა ვაჟა-ექიმს?

გაფრიდაშვილს უთქვამს, ცხინვალში ხშირად გადავდიოდი, ნაცნობები მყავს იქაო.

ომამდე ვაჟა ტანკისტიც იქნებოდა, მაგრამ 2008 წელს სააკაშვილის ჰალსტუხის ღეჭვის და სასტიკი ხუთდღიანი კოშმარის მერე, კიდევ ვამბობ, და ყველამ იცის, იქ ჩიტიც ვერ გადაფრინდება. ჩემი ახალგორელი მეგობრები მეუბნებიან ხოლმე, მიცვალებულთა მოხსენიების დღეებზე და რელიგიურ დღესასწაულებზე ახლობლების საფლავების მოსანახულებლადაც ვერ გადავდივართ, იმის მიუხედავად, რომ ზოგიერთ ჩვენგანს ორი პასპორტი გვაქვსო.

თბილისში რომ თეთრხალათიანების აქციები იმართებოდა და ჩვენ ვართ ვაჟა ექიმებიო, გაიძახოდნენ ქართველი ექიმები, სოლიდარობა მხოლოდ ქართველ ექიმს რომ გაუწიეს ქართველმა კოლეგებმა, ე.წ. სამხრეთ ოსეთის ტერიტორიაზე ექიმები არ არიან ვაჟა გაფრინდაშვილისთვის სოლიდარობა რომ გამოეცხადებინათ?!

მოკლედ, ინციდენტი დამთავრდა.

ვაჟა ექიმი სახლშია.

ჩვენ კი ხელთ შეგვრჩა ფსევდოგმირი, რომელმაც ვერც ახალგორელ პაციენტს უშველა, ვერც ოსურ-ქართული კონფლიქტი გაანეიტრალა, პირიქით, კითხვის ნიშნები კიდევ ბევრი გააჩინა და საბოლოო ჯამში, დააზარალა როგორც ოსურ-ქართული ურთიერთობა, ასევე ქვეყნის და საზოგადოების იმიჯი, იმ საზოგადოების, რომელიც ისეა დაბნეული, რომ ჯერ ვერ გაურკვევია, ვის უწოდოს გმირი და ვის კიდევ „ჟულიკი“...

**ირანდა კალანდაძე**
**593 56 11 18**

# მსოფლიოს პოლიტიკურ ლიდერთა მკვლელობები



**მსოფლიო პოლიტიკურ ლიდერთა მკვლელობები, რომელთა ლამის აბსოლუტური უმრავლესობა არ გახსნილა და სავარაუდოდ არც გაიხსნება. ამის მიზეზად პროფესიონალი სამძებრო, საგამოძიებო თუ სხვა კომპეტენტური სფეროების წარმომადგენლები იმ ფაქტორს ასახელებენ, რომ ეს მკვლელობები დიდი ალბათობით, სპეცსამსხურების ჩართულობითაა მომხდარი. სპეცსამსახურები კი ისე კლავენ, რომ საქმეები არ გაიხსნას.**

### აშშ-ის პრეზიდენტი ჯონ ფიცჯერალდ კენედი

ამერიკის ახალგაზრდა და ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული პრეზიდენტი, 1963 წლის 22 ნოემბერს, ტეხასის შტატის ქალაქ დალასში მოკლეს. 46 წლის კენედის სნაიპერმა იმ დროს ესროლა, როცა იგი მეუღლესთან ერთად, ღია ავტომობილით გადაადგილდებოდა „დელი პლაზას“ მოედანზე. პრეზიდენტის სავარაუდო მკვლელი, 24 წლის ლი ჰარვი ოსვალდი საათნახევარში დააკავეს. 24 ნოემბერს, იგი დალასის პოლიციის სამმართველოს შენობაში ცეცხლსასროლი იარაღიდან გასროლით მოკლა ბიზნესმენმა, ყოფილმა განგსტერმა ჯეკ რუბიმ. მან თავისი საქციელი პრეზიდენტის მკვლელობაზე შურისძიების მოტივით ახსნა. აქედან გამომდინარე, კენედის მკვლელობაში ერთადერთი ეჭვმიტანილი ვერ წარსდგა მართლმსაჯულების წინაშე და ვერ მოასწრო ამომწურავი ჩვენების მიცემა. ამ ფაქტმა, პრეზიდენტის მკვლელობის უამრავ ვერსია გააჩინა, დაწყებული „კაგებეს“ სპეცოპერაციიდან, დამთავრებული ამერიკული სპეცსამსახურების შეთქმულებით, რაც წარმოდგენილია ათობით ფილმისა თუ წიგნის სახით. პირველ რიგში ის არის საინტერესო, თუ დაკითხა მანამდე პოლიციამ ოსვალდი და რა ჩვენება მისცა მან. ასევე საინტერესოა, როგორ შეაღწია შეიარაღებულმა ექს-განგსტერმა ქალაქის პოლიციის შენობაში, მით უმეტეს პრეზიდენტის სავარაუდო მკვლელამდე და „შურიც“ იძია, თუ რაღაც საეჭვო გარიგება-მაქინაციებს არ ჰქონდა ადგილი. რომელ შურისძიებაზეა საუბარი, როდესაც ნაგანგსტერალმა ბიზნესმენმა თავისი „კეთილშობილებით“, ერთადერთი ასე ვთქვათ, ინფორმაციის წყარო გაანადგურა. 1964 წელს გამოქვეყნდა ძიების ოფიციალური ვერსია. იგი ეყრდნობოდა იმ კომისიის მოხსენებას, რომელსაც უმაღლესი მოსამართლე ერგი უორენი ხელმძღვანელობდა. კომისიის დასკვნით, ოსვალდი მარტოხელა მკვლელი იყო. ამერიკის კონგრესის სპეციალურმა კომისიამ 1976–79 წლებში ხელახალი გამოძიება ჩაატარა და დაასკვნა, რომ „ოსვალდის ქმედება, სავსებით შეასაძლებელია შეთქმულების შედეგი იყო“, თუმცა კომისიამ დამნაშავეების დადგენა ვერ შეძლო. ამ გახმაურებული მკვლელობის ბევრი დამოუკიდებელი მკვლევარი თვლის, რომ ოსვალდთან ერთად, სხვა სნაიპერიც მოქმედებდა. აშშ-ის კონგრესის გადაწყვეტილებით, ამ მკვლელობასთან დაკავშირებული ყველა დოკუმენტი 2017 წლამდე უნდა გამხდარიყო საჯარო, მაგრამ კენედის ქვრივის, ჟაკლინ კენედი-ონასისის ნება-სურვილით, მისი 500-გვრდიანი ჩვენება, 2044 წელზე ადრე ვერ იხილავს დღის სინათლეს. ბოლო ხანს გავრცელებული ინფორმაციით, ეს ვადა ლამის ასი წლით ყოფილა გადაწეული. პრეზიდენტის ქვრივის სურვილი იყო, იმ დროს გამოქვეყნდეს ამ საქმის მასალები, რომ მონაწილეები კი არა, მათი ახლო შთამომავლებიც აღარ იყვნენ ცოცხლებიო. იყო თუ არა შურისძიების შიშით გამოწვეული ჟაკლინ კენედის ეს მოთხოვნა, ვერაფერს მოგახსენებთ, ფაქტია, ჯონ კენედის ბედი ხუთი წლის შემდეგ, მისმა ძმამ, პრეზიდენტობის კანდიდატმა რობერტ კენედიმაც გაიზიარა. ისიც ინცოგნიტო მკვლელის ტყვიას ემსხვერპლა.

### შვედეთის პრემიერ მინისტრი ულოფ პალმე

1986 წლის 1 მარტს, ცეცხლსასროლი იარაღიდან მიყენებული სასიკვდილო ჭრილობის შედეგად გარდაიცვალა შვედეთის პრემიერ-მინისტრი, სკანდინავიის ქვეყნების ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული პოლიტიკოსი 59 წლის ულოფ პალმე. მას 28 თებერვალს, სტოკჰოლმის ცენტრში იმ დროს ესროლეს, როდესაც გვიან საღამოს, მეუღლესთან ერთად კინო-თეატრიდან ბრუნდებოდა. პრემიერს მცველები არ ახლდნენ, რადგან მათ გარეშე ყვარებია ქალაქის ქუჩებში სეირნობა. გზაჯვარედინზე პალმეების წყვილს უცნობი მამაკაცი მიუახლოვდა და ორჯერ ესროლა რევოლვერ „სმიტ-ვესონიდან“. მკვლელმა პრემიერს ზურგში ესროლა და დაუზიანა ხერხემალი, ტრაქეა და სხვა ორგანოები, მეორე გასროლით კი, პალმეს მეუღლე დაჭრა. ეს მკვლელობა დღემდე გაუხსნელია და თანამედროვე შვედეთის ყველაზე დიდ გამოცანას წარმოადგენს. პრესამ და პოლიტიკურმა წრეებმა სხვადასხვა ვერსიები წამოაყენეს, დაწყებული შვედი მემარჯვენე ექსტრემისტების შეთქმულებიდან, დამთავრებული ამერიკის ცენტრალური სადაზვერვო სააგენტოსა და სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის სპეცსამსახურების ოპერაციებით. 2006 წლის დასაწყისიდან, შვედური მედია განიხილავს ვერსიას, რომ ქილერმა შემთხვევით ესროლა პრემიერ პალმეს, რომ იგი მსხვილ ნარკომოვაჭრე სიგე სედერგრუნში აერიათ, რაც რბილად რომ ვთქვათ, გულუბრყვილოდ ჟღერს, მით უმეტეს იმ ფაქტორს თუ გავითვალისწინებთ, რომ ულოფ პალმე მსოფლიო მნიშვნელობის ფიგურა იყო. იგი თითქმის 20 წელი ხელმძღვანელობდა შვედეთის სოციალურ-დემოკრატიულ პარტიას, ორჯერ იყო ქვეყნის პრემიერ-მინისტრი 1969–76 წწ და 1982წლიდან 1986 წლის მარტამდე.

საერთაშორისო არენაზე ულოფ პალმე ფართოდ იყო ცნობილი შემდეგ მიზეზთა გამო: იგი 1960–70 წლებში მკაცრად აკრიტიკებდა შეერთებულ შტატებს ვიეტნამის ომში მონაწილეობის და თავადაც მონაწილეობდა სტოკჰოლმში გამართულ ამ ომის საწინააღმდეგო დემონსტრაციებში ჩრდილოეთ ვიეტნამის ელჩთან ერთად. 1968 წელს, პალმე ვარშავის ბლოკის ქვეყნების საჯარისო შენაერთების ჩეხოსლოვაკიაში შეჭრის წინააღმდეგ გამოვიდა, ხოლო 1979 წელს, საბჭოთა კავშირი გააკრიტიკა ავღანეთში ჯარების შეყვანის გამო. საბჭოთა კავშირთან მეგობრული ურთიერთობის მიუხედავად, იგი არ ერიდებოდა აღმოსავლეთ ევროპის კომუნისტურ რეჟიმების კრიტიკას. თვალსაჩინო შვედი პოლიტიკოსი ბირთვული იარაღის გავრცელების წინააღმდეგ გამოდიოდა, მუშაობდა სკანდინავიის ნახევრაკუნძულის უბირთვო ზონად გამოცხადებასა და ნორვეგია-დანიის ნატოს ბლოკიდან გამოსვლაზე. იგი მკაცრად აკრიტიკებდა ფრანკოს რეჟიმს, თავად ესპანელ დიქტატორსა და მის ხელქვეითებს კი „სისხლიან მკვლელებს“ ეძახდა. პალმე ასევე აკრიტიკებდა სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის აპარტეიდულ რეჟიმს და ითხოვდა მათთვის მკაცრი ეკონომიკური სანქციების დაწესებას. მან 1975 წელს, შვედეთის პრემიერის რანგში მოინახულა კუბა, შეხვდა ფიდელ კასტროს, რომელსაც პატივს სცემდა აქებდა, 1959 წელს ბატისტას რეჟიმის დამხობის გამო. 1984 წელს, შვედეთის პრემიერმა „დელის ექვსეულის“ მონაწილე ბირთვული იარაღის მფლობელი სახელმწიფოების მეთაურებს მოუწოდა, უარი ეთქვათ ბირთვული იარაღის გამოცდაზე, შეემცირებინათ ამ იარაღის მარტო წარმოება კი არა, არსებული არსენალიც. იმავე წელს პალმე ოფიციალური ვიზიტით ეწვია აღმოსავლეთ გერმანიას და შეხვდა მის ლიდერ ჰონეკერს. შვედეთის პრემიერი მკაცრად აკრიტიკებდა გენერალ აუგუსტო პინოჩეტის რეჟიმს ჩილეში, რომელმაც 1973 წელს სამხედრო გადატრიალების გზით დაამხო არსებული ხელისუფლება.

პრემიერ-მინისტრ პალმეს მკვლელობის მთავარი ეჭვმიტანილი კრისტერ პეტერსონი იყო, რომელსაც 1989 წელს უვადო პატიმრობა მიუსაჯეს, მაგრამ მოგვიანებით გაათავისუფლეს, იმ მიზეზით, რომ თითქოს მისთვის ბრალის დამტკიცება ვერ მოახერხეს. თავის დროზე იგი პრემიერის მეუღლემ ლისბეტ პალმემ ამოიცნო და სასამართლომაც დამნაშავედ ცნო, მაგრამ პეტერსონმა განაჩენი გაასაჩივრა. შვედურმა თემიდამ ამჯერად მას დაუჭირა მხარი, რაც იმით ახსნა, რომ პრემიერის ქვრივი ამოცნობის დროს ობიექტური არ იყო, რადგან გაზეთებმა მოასწრეს მკვლელის არსებითი ნიშან-თვისებების აღწერა. თავად პეტერსონმა კი, არაერთხელ ხან აღიარა, ხანაც უარყო თავისი ბრალეულობა. მან წლების შემდეგ გვარიანად აკეთა ფული საგაზეთო ინტერვიუებზე, როცა პერიოდულად აღიარებდა ხოლმე, რომ პრემირ-მინისტრი ზუსტად მან მოკლა. პეტერსონი 2004 წელს, 57 წლის ასაკში გარდაიცვალა. შვედური კანონმდებლობით, იმ გამომძიებლების განკარგულებაში, რომლებიც დღემდე ამ დანაშაულის გახსნაზე, ხუთი წელი დარჩა. ამ ვადის გასვლის შემდეგ, საქმე არქივს გადაეცემა. ეს მკვლელობა, ჯერჯერობით ოფიციალურად გაუხსნელად ითვლება. რუსული მედია პრემიერის მკვლელობის განსჯისას, განსაკუთრებულ აქცენტს ორ ფაქტზე აკეთებენ, პირველი — ულოფ პალმე საბჭოთა კავშირში წინასწარ დაგეგმილ ოფიციალური ვიზიტის დაწყებამდე სამი დღით ადრე მოკლეს. მეორე საინტერესო ფაქტი ისაა, რომ პრემიერი პალმე აფერხებდა, ხელს უშლიდა შვედური შეიარაღებისა და სამხედრო ტექნიკის ექსპორტს, რომლის მწარმოებლებიც იყვნენ ისეთი მსხვილი სამხედრო-საწარმოო კომპანიები, როგორიცაა „ნობელ-ინდუსტრიერი“, „ერიქსონი“, „ბოფორსი“ და „ფფვ“.



### რუმინეთის პრეზიდენტი ნიკოლაე ჩაუშესკუ

1989 წლის 25 დეკემბერს, რევოლუციური ამბოხების დროს დახვრიტეს რუმინეთის კომპარტიის ცკ-ის გენერალური მდივანი, პრეზიდენტი ნიკოლაე ჩაუშესკუ და მისი მეუღლე ელენა ჩაუშესკუ. რევოლუციას წინ უძღვოდა ერთი თვით ადრე, ეთნიკური უნგრელებით დასახლებულ, ტრანსილვანიის ქალაქ ტიმიშოარაში დაწყებული ეთნიკურ-რელიგიური მღელვარება. 21 დეკემბერს, ჩაუშესკუ შეეცადა ბუქარესტში რუმინეთის ცკ-ის შენობის აივნიდან მიემართა შეკრებილი ხალხისთვის. მან ტიმიშოარაში განვითარებული მოვლენები, უცხო ქვეყნების ჯაშუშური სამსახურების ქმედებად გამოაცხადა, მაგრამ ხელისუფლების მხარდამჭერი მანიფესტაცია, მოულოდნელად სტიქიურ გამოსვლად გადაიქცა, რომელმაც დაიწყო სკანდირება — „ძირს ტირანი“, „ძირს კომუნიზმი“. ხალხის ეგზალტირებული ჯგუფი ხევდა ტრანსპარანტებს და ფეხით თელავდნენ ნიკოლაე ჩაუშესკუსა და მისი მეუღლის პორტრეტებს. მიუხედავად სამხედრო დანაყოფების ჩარევისა, ბუქარესტში სიმშვიდის აღდგენა ვერ მოხერხდა. 22 დეკემბერს ჩაუშესკუების წყვილი ორ მცველთან ერთად პრეზიდენტის პირადი ვერტმფრენით, რომელიც ცკ-ის შენობის თავზე დაჯდა, დედაქალაქიდან გაქცევა შეძლეს. ამის შემდეგ შეცვივდნენ მეამბოხეები შენობაში. ჩაუშესკუები პირველად დედაქალაქიდან 40 კმ-ში, პრეზიდენტის სასახლის სიახლოვეს გაჩერდნენ, საიდანაც პრეზიდენტი ტელეფონით ამაოდ ცდილობდა იმ ძალოვანების მოძებნას, რომელთაც კიდევ ჰქონდათ შერჩენილი მისი ერთგულება. იმედგადაწუ-



რული ცოლქმარი ტირგოვიშტესკენ გაემართნენ, პრეზიდენტი იმედოვნებდა, რომ მუშებთან მაინც იპოვიდა მხარდაჭერას, მაგრამ მაგრამ ვერტმფრენმა ქალაქამდე ვერ მიაღწია, მინდორში ჩამოვარდა. ჩაუშესკუებმა და მათმა მცველებმა სოფლის გზაზე კერძო ავტომანქანა გააჩერეს და იარაღის მუქარით, ხსენებული ქალაქისკენ წასვლა მოსთხოვეს. 22 დეკემბრის საღამოს ზუსტად იქ დააკავეს სამხედროებმა დევნილები და ჯერ პოლიციის განყოფილებაში მიიყვანეს, შემდეგ ადგილობრივი გარნიზონის ყაზარმაში გადაიყვანეს. დატყვევებულებმა სამი დღე-ღამე იქ გაატარეს.

25 დეკემბერს, ამ სამხედრო ბაზის ტერიტორიაზე გაიმართა ახალი ხელისუფლების მიერ შექმნილი ტრიბუნალის სხდომა, რომელსაც ორგანიზება გენერლებმა სტენკულესკუმ („ახალგამომცხვარი“ თავდაცვის მინისტრი) და მეგურიანუმ გაუკეთეს. სახცელმწიფო ბრალმდებლად იუსტიციის პოლკოვნიკი ჯიკუ პოპა გამოდიოდა, მან თურმე სასამართლო პროცესამდე სულ რამდენიმე საათით ადრე გაიგო, რომ ჩაუშესკუ უნდა გაესამართლებინა. ცნობისთვის, გენერალ-მაიორის წოდება მინიჭებულმა პოპამ ჩაუშესკუების დასჯიდან მოკლე ხანში, 1990 წლის 1 მარტს, საკუთარ კაბინეტში მოიკლა თავი. იმპროვიზებულ სასამართლოზე, რომელიც საათზე ცოტა მეტ ხანს გაგრძელდა, ჩაუშესკუებს სასიკვდილო განაჩენი გამოუტანეს. ნიკოლაე ჩაუშესკუს ბრალი დასდეს სახელმწიფოს წინააღმდეგ ჩადენილ დანაშაულობებში, კერძოდ, საკუთარი ხალხის გენოციდში, რომელმაც თურმე 60.000 ადამიანი იმსხვერპლა, სახელმწიფო ხელისუფლების ძირის გამოთხრასა და ჩამოშლაში, ხალხის საწინააღმდეგო შეიარაღებული აქციების ორგანიზების გზით, ეროვნული ეკონომიკისთვის ზიანის მიყენებაში და ა.შ. ჩაუშესკუებს ისიც დასდეს ბრალად, რომ მათ უცხოურ ბანკებში ჰქონდათ ანგარიშები გახსნილი, სადაც ერთ მილიარდ დოლარზე მეტს ინახავდნენ. ექს-პრეზიდენტმა და მისმა მეუღლემ სასამართლო უკანონოდ გამოაცხადეს და თავი დამნაშავეებად არ ცნეს. მათ ასევე უარი თქვეს, რომ თითქოს სულიერად ავადმყოფები იყვნენ, მიუხედავად იმისა, რომ ბრალმდებელმა ჯიკუ პოპამ ეს შესთავაზა. სასიკვდილო განაჩენი იმავე დღეს, ნაშუადღევს მოიყვანეს სისრულეში, 70 წელს გადაცილებული ცოლ-ქმარი ჩაუშესკუები სამხედრო ნაწილის ტუალეტის კედელთან მიაყენეს და დახვრიტეს. ნიკოლაე ჩაუშესკუს ბოლო სიტყვები იყო, „მე ამას არ ვიმსახურებ“. მოგვიანებით ერთ-ერთმა ჯარისკაცმა, რომელიც განაჩენის აღსრულებაში მონაწილეობდა, განაცხადა, რომ ტრიბუნალი დარღვევებით ჩატარდა, თავიდან ბოლომდე დადგმული იყო. ადვოკატები, რომლებიც ჩაუშესკუებს გამოუყვეს, ბრალმდებლებს უფრო ჰგავდნენ, ვიდრე დამცველებსო. სასამართლოს გადაწყვეტილებით, მსჯავრდებულებს განაჩენის გასაჩივრების ათდღიანი ვადა მიეცათ, თუმცა იმის შიშით, პრეზიდენტის დაცვის სამსახურს (სეკურიტატე) არ გაეთავისუფლებინა ისინი, გადაწყდა განაჩენი დაუყოვნებლივ მოეყვანათ სისრულეში. თვითმხილველთა განცხადებით, ცოლ-ქმარი გარეგნულად მშვიდად გამოიყურებოდა, ელენა ჩაუშესკუმ იარაღმომარჯვებულ ჯარისკაცებს ჰკითხა, „რატომ გვხოცავთ, მე ხომ თქვენთვის დედასავით ვიყავი“, რაზეც უპასუხეს, რა დედა ხარ, თუ ჩვენ დედებს ხოცავდიო. ცხედრები ერთი დღე-ღამე ბუქარესტის ფეხბურთის სტადიონზე ეწყო და მერეღა დაკრძალეს. „მართლმსაჯულების“ აღსრულებაც ვიდეოკამერით გადაიღეს და 28 დეკემბერს რუმინეთის ტელევიზიით აჩვენეს. როდესაც დახვრეტის კადრებს აჩვენებდნენ, ტელეწამყვანს უთქვამს, ანტიქრისტე შობა დღეს მოკლესო.

მოკლედ, ვერაფერს იტყვი, ფრიად „ცივილურ-ქრისტიანული“ საქციელია, მე-20 საუკუნის მიწურულს შუაგულ ევროპაში ფაქტობრივად, გამოძიება-სასამართლოს გარეშე, სადღაც გარნიზონის ჯარისკაცური ტუალეტთან ხოცავენ ასაკოვან ადამიანებს, თან კათოლიკური შობის დღეს. მართალია, რუმინული ტელევიზიის დიქტორს „აღმატებული“ საკრალური დამთხვევები მოელანდა, მაგრამ პირადად მე ამ უკიდურესმა ცინიზმმა, ის საშინელება გამახსენა, რომელიც ათი წლის თავზე იმავე ბალკანეთის ნახევარკუნძულზე, მართლმადიდებლურ სერბეთში განმეორდა.

(გაგრძელება იქნება)

**მანანა სუხიშვილი**
599 51 28 24

# კობასა შიგან რაცა დგას




„ენდიაის“ სოციოლოგიური კვლევები რომ აბსოლუტურად აცდენილია რეალობას, ეს თუნდაც ერთი საგულისხმო ფაქტით მტკიცდება — მისი კვლევის მიხედვით, საქართველოში დღესდღეობით ყველაზე სანდო და ყველაზე ავტორიტეტული პოლიტიკოსი, ეს უკვე მეორედ, დავით ბაქრაძეა.

არადა, ეს დავით ბაქრაძე ვინ არისო, რომ ჰკითხო ქართველ ამომრჩევლებს, ასი კაციდან ოთხმოცდაათი ასე გიპასუხებს — ეს ის ბაქრაძე არ არის, 2008 წლის აგვისტოს ომის დროს მოსახლეობას რომ მოუწოდებდა, დანა-ჩანგლით დაიცავით ქვეყანაო?

ამ სიტყვებს რომ ამბობდა, მაშინ ბატონ დავითს ჩემოდანი უკვე ჩალაგებული ჰქონდა და სხვა „ნაციონალებთან“ ერთად ქვეყნიდან გასაქცევად ემზადებოდა.

ამ „გმირობის“ გარდა ბაქრაძის სხვა გმირობანი საქართველოს არ ახსოვს, არც მაშინ, როცა პარლამენტის თავმჯდომარის რანგში სააკაშვილს „უპრავებდა“ ყველა სულელურ და შლეგურ კაპრიზებს და არც მას მერე, რაც პოლიტიკური პასპორტი გადაიკეთა და „ევრონაცი“ გახდა.

ერთადერთი, რითაც დავით ბაქრაძე შეიძლება დაგამახსოვრდეს, ეს მისი ლაპარაკის მანერაა. ბატონი დავითი კი არ ლაპარაკობს, ტიკტიკებს და ტიკტიკებს — თითქოს კაცი კი არა, მაგნიტოფონია, სადაც



წინასწარ ჩაწერეს რაღაც ტექსტი და ეს სხაპასხუპით ახმოვანებს ამ ტექსტს.

აი, ასეთი პოლიტიკოსი რატომ გახდა ენდიაის გამოკითხვის მიხედვით ყველაზე სანდო და საიმედო პოლიტიკოსი ზედიზედ ორჯერ, ეს, ალბათ, ზემოთ ღმერთმა იცის, დაბლა კი მშვენიერმა ქალბატონმა ლორამ და ცოტა უფრო დაბლა იმ ქართული ორგანიზაციის ხელმძღვანელმა კობა თურმანიძემ, რომელიც 12 წელია, თურმე, ენდიაის შეკვეთებს ასრულებს.

გახსოვთ ნავარო, სანამ შედეგებს გამოაცხადებდა, მანამდე რომ გვზაფრავდა თავისი მრისხანე და კუშტი შესახედაობით?

ეტყობა, იფიქრეს, ეს ქართველები სანამ სულ არ გაუგიჟებია ამ ნავაროს, მოდი, ქალბატონით ჩავანაცვლოთ — ქართველები ჯენტლმენები არიან და ქალს მეტი კრძალვით და რიდით მოექცევიანო.

ასე შეგვრჩა ხელთ მომხიბლავი, დახვეწილი და არისტოკრატიული მანერების ლორა, მაგრამ შეგვრჩა კობა თურმანიძესთან ერთად, რომელიც, როგორც ირკვევა, „ნაცმოძრაობის“ წიაღიდან მოდის და თორმეტი წელია ისეთი მასალებით ამარაგებს „ენდიაის“, რომლებსაც სერიოზულ და ობიექტურ სოციოლოგიურ კვლევებთან საერთო არაფერი არა აქვს.

საყოველთაო მიღებული სტანდარტებით, სოციოლოგიური კვლევის შედეგების ცთომილება არ უნდა აღემატებოდეს 2-3 პროცენტს, თუმცა ბატონი კობას კომპანიის „მაღალკვალიფიციური“ და „მაღალპროფესიონალური“ კვლევების ცთომილება, ჰოი, საოცრებავ და, ხანდახან 4-ჯერ, 5-ჯერ მეტია დასაშვებ ნორმებზე.

ასე, მაგალითად, 2016 წელს პატივცემული კობას მიერ გაზომილი „ქართული ოცნების“ რეიტინგი 15 პროცენტს შეადგენდა, თუმცა არჩევნებში „ქართულმა ოცნებამ“ ამომრჩეველთა ხმების 49 პროცენტი მიიღო.

წლევანდელი შედეგებით „ქართული ოცნების“ რეიტინგი 20 პროცენტით იზომება, რაც 2016 წლის „გამოცდილების“ გათვალისწინებით 60 პროცენტს ნიშნავს...

სასაცილოა ეს ყველაფერი, იმავე დროს ძალიან სამარცხვინო რომ არ იყოს ისეთი ცნობილი ორგანიზაციისთვის, რომელსაც „ენდიაი“, ანუ ამერიკის ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტი ჰქვია, რომლის ფილიალი საქართველოში კარგა ხანია ასინეთას კანტორას დაემსგავსა.

ერთობლივ პრესკონფერენციაზე, რომელიც ლორა თორნტონმა და თურმანიძემ გამართეს, თურმანიძემ ამაყად განაცხადა: 12 წელია ამ საქმიანობას ვეწევით ჩვენ და ამ ხნის განმავლობაში დამკვეთისგან ერთი საყვედური არ მიგვიღია. ჩვენი მასალების ობიექტურობისა სჯერათ, ჩვენ გვენდობიანო.

არ ვიცით, ვინ გენდობათ თქვენ, პატივცემულო კობა, მაგრამ ქართველი ხალხი რომ არ გენდობათ, ფაქტია, თუმცა, როგორც ჩანს, ქართველი ხალხი რას ფიქრობს, თქვენ ეს ცალ ფეხზე გკიდიათ — მთავარია, დამკვეთი იყოს კმაყოფილი.

აი, დამკვეთი რატომ არის კმაყოფილი თურმანიძის კომპანიის მიერ ასე უხარისხოდ, უპასუხისმგებლოდ და არაკვალიფციურად ჩატარებული სამუშაოებით, ნამდვილად საინტერესოა.

როცა ამდენი უზუსტობაა, როცა კომპანიის მიერ მოწოდებული კვლევის ციფრები ალთასაა, არჩევნების შედეგები კი ბალთას და, როცა ეს ყველაფერი რამდენიმეჯერ მეორდება, შემკვეთმა ხომ უნდა უთხრას შემსრულებელს: თქვე ჩემის გადანგრეულებო (შეიძლება უფრო ზრდილობიანი ფორმაც აირჩიოს). მკვლევარები ხართ თქვენ თუ მკითხავები, რა სისულელეებსა რომ გვატენითო, თუმცა თურმანიძეს თუ დავუჯერებთ, მსგავსი არაფერი ყოფილა — შემკვეთს მათი მისამართით შენიშვნები არ ჰქონია.

ვინც იხდის, მუსიკასაც ის უკვეთავსო, — ნათქვამია.

ეტყობა, ამ შემთხვევაშიც ასეა — თურმანიძის „მუსიკოსები“ იმას უბერავენ, რასაც ფულის გადამხდელი, „ენდიაი“, უკვეთავს.

კი, მაგრამ „ენდიაის“ ვინ უხდის ფულს და ვინ უკვეთავს ამ მუსიკას, რომელიც აშკარად „ნაცების“ და „ევრონაცების“ ნოტებზეა შეთხზული და რომელსაც გასაჯაროების წუთიდანვე ხან გვარამიას ბენდი უკრავს დილიდან საღამომდე, ხან გრიგოლიას მედუდუკე-მედოლეთა ანსამბლი.

რა ხდება ამ ქვეყანაში და რატომ არის ასე რთულად გასაგები და ასახსნელი, ვისი ვიოლინო ვის როიალშია და საიდან ჩნდება „ენდიაის“ მიერ ჩატარებულ სოციოლოგიურ კვლევებში ეს უცნაური, ციფრები, რომლებსაც არაფერი აქვს საერთო რეალობასთან?

„კოკასა შიგან რაცა დგას, იგივე წარმოდინდების“.

არსებობს გონივრული ეჭვი, რომ ბატონი კობას კოკაში ნაცების და ევრონაცების მიერ ჩასხმული მთხლე დგას, რომელსაც ბატონი კოკა გულუხვად აწვდის ქალბატონ ლორას, ის კი ქართველ ხალხს ყლუპ-ყლუპად ურიგებს, ამ მთხლეს, თითქოს უკვდავების წყალი იყოს.

**დავით ქავთარია**

# ირანის ბერმუდის სამკუთხედი

ახალი, 2020 წელი პოლიტიკური თვალსაზრისით, მარტივი რომ არ იქნება, ჯერ კიდევ შარშან პროგნოზირებდნენ ექსპერტები. სამწუხაროდ, გამართლდა მათი ვარაუდი. საახალწლო ზეიმი სამყაროში დასრულებული არ იყო, როდესაც ერაყიდან საგანგაშო ინფორმაცია გავრცელდა. ამერიკის შეერთებული შტატების უპილოტო საფრენმა აპარატმა სარაკეტო დარტყმა განახორციელა ბაღდადის სამოქალაქო აეროპორტის მისადგომებთან, საავტომობილო ექსკორტზე შეტევის შედეგად დაიღუპა 12 ადამიანი. მათ შორის ირანის არმიის გენერალი ყასიმ სულეიმანი. ავტომობილი, რომლითაც სულეიმანი გადაადგილდებოდა მთლიანად დაიწვა. ყასიმ სულეიმანის ამოცნობა მხოლოდ მისი ბეჭედით გახდა შესაძლებელი. აღსანიშნავია, რომ ყასიმ სულეიმანი დიდი ავტორიტეტით სარგებლობდა არამარტო ირანში, არამედ მთელ შიიტურ სამყაროში. იგი ირანის სულიერი ლიდერის აითოლა ალი ჰამეინის უახლოესი ადამიანი იყო, რომელიც მის



დასაფლავებაზე ტიროდა. სულეიმანს დიდი წვლილი მიუძღვის ე.წ. „ოგილთან“ ბრძოლაში, რასაც აშშ-იც აღიარებენ. სწორედ მას მოიაზრებოდნენ ირანის მომავალ პრეზიდენტად. თუმცა აშშ-ის პრეზიდენტი უარყოფითად იყო განწყობილი ირანის არმიის სირიაში სამხედრო ოპერაციებში მონაწილეობით.

გენერალ სულეიმანის ლიკვიდაციამ დიდი ვნებათაღელვა გამოიწვია რეგიონში, რასაც ტრამპი ნამდვილად არ ელოდა. საპროტესტო აქციები გაიმართა როგორც ირანში, ასევე ერაყში და მათ შორის აშშ-იც. მანიფესტანტები ტრადიციულად წვავდნენ აშშ-ს დროშებს და სკანდირებდნენ „სიკვდილი ამერიკას“. ირანის ხელისუფლება და შიიტური სამყარო შურისძიებით დაემუქრნენ აშშ-ს. გავრცელებული ინფორმაციით, ირანის ხელისუფლება 13 სცენარს განიხილავდა თუ როგორი პასუხი გაეცათ აშშ-სთვის. ყასიმ სულეიმანის დიდ ავტორიტეტზე ის გარემოებაც მეტყველებს, რომ მის დასაფლავებას მილიონობით ადამიანი დაესწრო. ირანის ხელისუფლება იძულებული გახდა ერთი დღით გადაედოთ დაკრძალვა, რადგან ხალხმრავლობამ ჭყლეტა გამოიწვია, რასაც 56 ადამიანი ემსხვერპლა, ხოლო 200-ზე მეტი დაშავდა. აღსანიშნავია, რომ სტალინის დასაფლავების შემდეგ, რომელიმე პოლიტიკოსის დაკრძალვაზე, ჭყლეტაში არავინ დაღუპულა.

საინტერესო იყო დონალდ ტრამპის რეაქცია სულეიმანის ლიკვიდაციის შემდეგ. მომხდარიდან ერთი დღე-ღამე არანაირი განცხადება არ გაუკეთებია. ტვიტერაში, საკუთარ გვერდზე მხოლოდ აშშ-ის სახელმწიფო დროშის ფოტო გამოფინა. ამასთან, არც საშობაო არდადეგები შეუწყვეტია, რომელსაც ფლორიდაში ატარებდა. ამომრჩევლებთან შეხვედრისას გააკეთა განმარტება სულეიმანის ლიკვიდაციაზე. ტრამპის განცხადებით, სულეიმანის სიკვდილით რეგიონში მშვიდობის დამყარება სურს. მისივე თქმით, სულეიმანი ტერორისტი იყო და აშშ-ის და სხვა ქვეყნების საელჩოებზე აპირებდა თავდასხმას. თუმცა, ყასიმ სულეიმანი აშშ-ი ტერორისტების ჩამონათვალში არ იყო. დონალდ ტრამპმა აღიარა, რომ სულეიმანის ლიკვიდაციის ბრძანება პირადად გასცა, რაზეც არ ნანობს. პრეზიდენტს მხარი სახელმწიფო მდივანმა მაიკლ პომპეომ დაუჭირა. „... სულეიმანის ლიკვიდაციით კეთილი საქმე გავაკეთეთ, მათ შორის ევროპელებისთვისაც“ — განაცხადა მან. ამის გამო ირანის საგარეო საქმეთა მინისტრმა ჯავად ზარიფმა „ამპარტავანი ჯამბაზი“ უწოდა. აქვე სათქმელია, რომ „იგილის“ წევრებმა ტრამპს სამადლობელი წერილი გადაუგზავნეს სულეიმანის ლიკვიდაციისთვის.

გავრცელებული ინფორმაციით, დონალდ ტრამპმა სულეიმანის ლიკვიდაციის გადაწყვეტილება ფლორიდაში ვიწრო წრეში მიიღო. დღემდე დაუზუსტებელი ინფორმაციით თათბირს მისი შვილი ივანკა, ვიცე-პრეზიდენტი მაიკ პენსი, სახელმწიფო მდივანი პომპეო ესწრებოდნენ. დანარჩენთა ვინაობა უცნობია. საინტერესოა ის გარემოებაც, რომ წინასაარჩევნოდ ტრამპი ამომრჩევლებს პირდებოდა სხვა ქვეყნების შინაურ საქმეებში ჩაურევლობას, ასევე ჯარების



გაყვანას ცხელი წერტილებიდან. 2011 წელს პრეზიდენტ ობამას აკრიტიკებდა, ირანთან ომი სურსო. თუმცა ირანს იარაღით თავად დაუპირისპირდა. პოლიტოლოგების შეფასებით, დონალდ ტრამპმა სულეიმანის ლიკვიდაციის გადაწყვეტილება, დეკემბერში კონგრესის მიერ იმპიჩმენტის გამოცხადების გამო მიიღო. მათ გაიხსენეს ბილ კლინტონი, რომელმაც იმპიჩმენტის გამოცხადებიდან ზუსტად 4 თვის შემდეგ 1999 წლის აპრილში გასცა იუგოსლავიის დაბომბვის ბრძანება. ექსპერტებმა სულეიმანის ლიკვიდაცია 1914 წლის სარაევოში საბედისწერო გასროლასაც შეადარეს, რომელსაც პირველი მსოფლიო ომი მოჰყვა.

ამჯერადაც სამყარო მსოფლიო ომის თუ არა, ახლო აღმოსავლეთში ფართომასშტაბიანი ომის საშიშროების წინაშე აღმოჩნდა. ირანის მუქარას, რომ შურს იძიებდნენ სულეიმანის მკვლელობაში, დონალდ ტრამპმა მუქარითვე უპასუხა. მან პირდაპირ განაცხადა, თუ ირანელები სამხედრო ძალას გამოიყენებდნენ, აშშ-ი 52 სხვადასხვა ობიექტს, მათ შორის კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებს გაუნადგურებდა. (ექსპერტების შეფასებით, ტრამპს 52 ობიექტი შემთხვევით არ დაუსახელებია, სწორედ ამდენი ადამიანი აიყვანეს მძევლად 1979 წელს აშშ-ის საელჩოზე თავდასხმისას). ტრამპის მუქარამ მსოფლიო საზოგადოების აღშფოთება გამოიწვია, რადგან პირველი შემთხვევაა, როდესაც რომელიმე ქვეყანას პირდაპირ დაემუქრნენ კულტურულ ძეგლების განადგურებით. მით უფრო, როდესაც ძირძველი სპარსული კულტურული ძეგლები იუნესკოს სიაშია შეტანილი. ამიტომაც, ერაყის პარლამენტმა სასწრაფოდ მიიღო დადგენილება ქვეყანა დატოვონ იქ განთავსებულმა კოალიციურმა ჯარებმა აშშ-ის მეთაურობით. ერაყელების განცხადებით, არცერთ ქვეყანას, მათ შორის აშშ-ს არ მისცემენ უფლებას ქვეყანა გამოიყენოს სხვა რომელიმე ქვეყანაზე თავდასხმის პლაცდარმად.

ერაყელებს საკმაოდ მკვახედ უპასუხა დონალდ ტრამპმა. მისი განცხადებით, ერაყელებმა უნდა გადაიხადონ აშშ-ის მიერ აშენებული საავიაციო სამხედრო ბაზის საფასური. ამასთან შეახსენა, რომ აშშ-ი ინახება ერაყის 35 მილიარდი, რომელსაც დაუყადაღებენ.

საპასუხო შეტევა ერაყში განთავსებული აშშ-ის 2 ბაზაზე ირანმა ყასიმ სულეიმანის დასაფლავების დღეს განახორციელა. 15 გასროლილი ბალისტიკური რაკეტიდან 11 მიაღწია მიზანს. შეტევას დონალდ ტრამპი სიტუაციურ ოთახიდან, პირდაპირ ეთერში ადევნებდა თვალს. გავრცელებული ინფორმაციით, ირანის ხელისუფლებამ 2 საათით ადრე გააფრთხილა ერაყი მოსალოდნელი შეტევის თაობაზე. მათ კი აშშ-ის სამხედროები, რომლებმაც მოასწრეს თავშესაფარ ბუნკერში ჩასვლა. შეტევის შემდეგ დონალდ ტრამპმა თეთრ სახლში საგანგებო თათბირი გამართა, რომელსაც მაიკლ პომპეოსთან ერთად პენტაგონის მაღალჩინოსნები ესწრებოდნენ. ბრიფინგზე ტრამპი მოსახლეობის დამშვიდებას შეეცადა „...ადამიანური მსხვერპლი არ არის, მცირე მატერიალური ზარალი მოგვადგა“. განაცხადა. ირანელები კი ამტკიცებდნენ 80 ამერიკელი სამხედრო ემსხვერპლა შეტევებს. თუმცა ზუსტი ცნობები დღემდე არ გავრცელებულა. აღსანიშნავია, რომ როგორც შარშან საუდის არაბეთში, საჰაერო დაცვის კომპლექსმა „პეტრიოტმა“ ვერც ერაყში იმუშავა, რომლებიც აშშ-ის ბაზებთან არიან განლაგებული.



აშშ-ის არმიის სიძლიერე ყველამ კარგად იცის. სამაგიეროდ დღემდე უცნობია ირანის სამხედრო პოტენციალი. სამხედრო ექსპერტებმა იმის გაანგარიშებაც დაიწყეს, თუ რამდენ ხანს გაუძლებდა ირანი აშშ-ის სამხედრო შეტევას. პენტაგონში დღემდე არ სჯერათ, რომ ირანის შურისძიება მხოლოდ ერთი შეტევით შემოიფარგლება.

საგანგებო ბრიფინგზე, სადაც უნდა განეცხადებინა ირანელებისთვის საპასუხო ქმედება, 35 წუთით დააგვიანა. საბედნიეროდ, ამჯერად დონალდ ტრამპმა მხოლოდ ეკონომიკური სანქციების გამკაცრებით „დასაჯა“ ირანი და არა სამხედრო ძალების გამოყენებით. ბევრს დონალდ ტრამპმა, როგორც პოლიტოლოგები აცხადებენ, მხარდაჭერის ნაცვლად უახლოესი მოკავშირეების კრიტიკა დაიმსახურა სულეიმანის ლიკვიდაციის გამო. განსაკუთრებით მას შემდეგ, როდესაც თეირანში უკრაინული სამგზავრო ლაინერი ააფეთქეს. ირანმა აღიარა საკუთარი ადამიანური შეცდომა, ამასთან დაზარალებულთა ოჯახებს გადაუხდის კომპენსაციას. უკვე დააკავეს ინციდენტში მონაწილეები. ირანის ხელისუფლებამ თავი გაიმართლა „... რომ არა აშშ-ის ავანტურა ეს ტრაგედია არ მოხდებოდა“ — განაცხადეს ოფიციალურმა პირებმა. ავიაკატასტროფაში ყველაზე მეტი კანადის მოქალაქე დაიღუპა. ამიტომაც ითხოვს კანადა აშშ-ის ადმინისტრაციისგან დაწვრილებით ინფორმაციას, რატომ გახდა აუცილებელი სულეიმანის ლიკვიდაცია და რატომ გააფრთხილეს კანადა როგორც მოკავშირე ქვეყანა მოსალოდნელი ოპერაციის შესახებ.

მართლაც აპირებდა თუ არა სულეიმანი რომელიმე საელჩოზე შეტევას უცნობია. საინტერესოა, რომ მაიკლ პომპეომ ლიკვიდაციიდან ორი დღის შემდეგ ორაზროვნად განაცხადა „...ზუსტად არ ვიცით, აპირებდა თუ არა შეტევას“. სამაგიეროდ გასულ კვირას თავდაცვის მინისტრმა პირდაპირ განაცხადა, რომ ინფორმაცია მოსალოდნელ შეტევაზე არ ჰქონდა, მაგრამ სჯერა პრეზიდენტის და შეასრულა მისი ბრძანება.

**გია ბურდული**
551 71 27 07

# იკლიკანტური ამბები ქართულ მედიაში

### ტოლმა

ქართული ელექტრონული მედია (საინფორმაციო სააგენტოები, ტელევიზიები, ინტერნეტგამოცემები) შავ დღეშია. საკმარისია, ვინმე სულელმა რამე სულელური დაწეროს ან თქვას, ეგრევე იტაცებენ, ეგრევე „ანიუსებენ“ და მერე კმაყოფილებით ითვლიან, რამდენმა სულელმა მოიწონა სოციალურ ქსელებში მათ მიერ გავრცელებული სისულელე. როგორც ყველა სფერო, ქართული ჟურნალისტიკაც წალეკა უვიცობამ, უცოდინრობამ და არაპროფესიონალიზმმა. აგერ, ნახეთ ნიმუში, ანუ მაგალითი, რომელიც „ინფო რუსთავმა“ გაავრცელა და შემდეგ ძაან „სერიოზულმა“ სააგენტოებმაც „წარიტაცეს“:

„ქურდობა რუსთავში — მეგობრობის ქუჩაზე, საცხოვრებელი სახლის პირველი სართულიდან ტოლმა მოიპარეს. ოჯახის დიასახლისმა ღამე ტოლმა ქვაბით გისოსებიან ფანჯარაში დადგა, დილით კი ტოლმა ადგილზე არ დახვდა. ფანჯარაში მხოლოდ ქვაბი იყო, ტოლმის ქურდებმა გი-



სოსების გამო კერძი ქვაბიანად ვერ წაიღეს. ტოლმა სათითაოდ ამოიღეს. სავარაუდოდ, ალტერნატიული ჭურჭლით წაიღეს. აღნიშნული ფაქტი 3 წლის წინ დაფიქსირდა“.

თავადაც ხვდებით, ეს სულელური „თხზულება“ არც იუმორის ჟანრში ჯდება, არც კრიმინალური ქრონიკის და არც რაიმე სახალისო ნოველის, უბრალოდ უბადრუკი ნაჯღაბნია და მეტი არაფერი. ჰოდა, წალეკა ქართული მედია ამ „ინფორმაციამ“ ახალი წლის დღეებში. სხვათა შორის, ისეთმა საინფორმაციო სააგენტოებმა გამოაქვეყნეს რჩეულ „ნიუსად“, ჯერ გამიკვირდა, მერე კი გული დამწყდა, რომ იქაც მრავლად ყოფილან უვიცნი და გაუნათლებელნი.

რა ეშველება ახლა ამ საქმეს?

არაფერი, სანამ არ აღდგება ის ჟურნალისტური სკოლა, რომელიც სააკაშვილის რეჟიმმა გაანადგურა. ეს ვრცელი თემაა, ამაზე უახლოეს მომავალში ვისაუბრებთ, ამჯერად მხოლოდ ფაქტი გაჩვენეთ.

სამწუხაროდ, დღეს ჟურნალისტობა შეუძლია ყველას, ვისაც არ ეზარება. თუ ადრე მართლწერის საკითხების შესწავლა მაინც იყო სავალდებულო, ახლა ესეც აღარ არის საჭირო. პირიქით, რამდენადაც გაუნათლებელია ადამიანი, მით მეტია პრეტენზიები და თქვენ წარმოიდგინეთ, ასეთებს უმართლებთ კიდეც... უფრო სწორად, გასდით და აფრქვევენ კიდევაც უამრავ სისულელეს, მეტი რა გააკეთონ?!

ისე, საინტერესოა, რუსთავში მოპარული ტოლმა იხვისა იყო თუ ინდაურისა? ან იქნებ, სულაც არ იყო იხვისა ან ბატისა და ღორისა გახლდათ? ამას, ალბათ, რუსთავის კრიმინალური პოლიცია დაადგენს.

და ბოლოს... მახსოვს, რამდენიმე წლის წინ ფანჯრის რაფაზე „ბანკით“ კაკლის მურაბა დამრჩა. შუაღამისას კი მითხრა ცოლმა, წადი, მურაბა მაცივარში შედგიო, მაგრამ ვინაიდან, მურაბა გისოსებს მიღმა იყო, დავიკიდე. თურმე სადა ბანაობ, ჩემო თავო? გათენდა, მზეც ამოვიდა, გავიხედე და აღარ არი კაკლის მურაბა, მარტო ცარიელი „ბანკა“ გდია რაფაზე. მოკლედ, აღიძრა სისხლის სამართლის საქმე (მურაბის წვენი ძალიან ჰგავდა სისხლს), მაგრამ რათ გინდათ? დღემდე ეგ საქმე მთავარ პროკურატურაში თაროზეა შემოდებული. აი, ქართულო მედიავ, ხომ უნდა ახლა ამ ამბავს „განიუსება“? ჰოდა, მიდით, დამირეკეთ, არ მოგერიდოთ, დამატებით კომენტარებსაც გავაკეთებ. ტაში, კუკური!

### გრიპის სეზონი თუ გრიპის ფესტივალი?

გეუბნებით, ქართული ჟურნალისტიკა შავ დღეშია-მეთქი... ფაქტობრივად, პულსი აღარც კი ესინჯება. აგერ, ნახეთ მეორე მაგალითი: ახალი წლის შემდგომ დღეებში გავრცელდა ინფორმაცია, რომ თურმე საქართველოში გრიპის სეზონი პირველ აპრილამდე გაგრძელდება. თურმე ასე განუცხადებია დაავადებათა კონტროლის ეროვნული ცენტრის ხელმძღვანელს ამირან გამყრელიძეს.

კი, ბატონო, შეიძლება ამირან გამყრელიძემ თქვა, სეზონიო, მაგრამ შენ, რომელსაც პრეტენზია გაქვს ყოვლისმცოდნეობაზე, რატომ გამოგაქვს ეს ყველაფერი სათაურში და არ ფიქრობ იმაზე, რომ არ შეიძლება არსებობდეს „გრიპის სეზონი“?

ესე იგი, გამოდის, ჩვენმა საინფორმაციო საშუალებებმა საქართველოში დააწესეს ავადმყოფობის სეზონი, რომელიც, ალბათ, მომავალ წლებშიც არ უნდა ჩავარდეს. თუ ჩავარდება, უთუოდ დაწერენ: „სამწუხაროდ, წელს გრიპის სეზონი ჩავარდა“.

ეს ამბავი ერთ სხვა ამბავს მაგონებს... თბილისში ერთი დამკრძალავი ბიუროა, რომლის უფროსსაც კარგად ვიცნობ. პერიოდულად მხვდება ხოლმე კატაფალკით. როგორც კი მოვიკითხავ, ეგრევე იწყებს წუწუნს: ისაო, ესაო, წელს სეზონი ჩავარდა, გაგვიჭირდაო. ვეკითხები — რის სეზონი ჩავარდა, ბიჭო? მპასუხობს — სიკვდილიანობისაო, წინა წლის ზაფხულში უფრო მეტი სიკვდილიანობა იყოო, მიშას დროს კიდე ხო საერთოდ „ვგულაობდითო“.

მოკლედ, ზოგისთვის ეპიდემია და ჭირი უბრალოდ სეზონია, ზოგისთვის კიდევ პრობლემა — გააჩნია, საიდან შეხედავ.

რა უნდა დაწეროს, როგორ უნდა დაასათაუროს ე.წ. ქართულმა მედიამ გრიპთან დაკავშირებული ამბები? ვფიქრობ, ასე: „გრიპის ეპიდემია საქართველოში პირველ აპრილამდე გაგრძელდება“. სხვათა შორის, სიტყვა „ეპიდემოს“ ბერძნული წარმოშობისაა და რომელიმე დაავადების გავრცელებას ნიშნავს.

ისე, კარგი იქნებოდა, ქართულ მედიას გამოეცხადებინა: „გრიპის ფესტივალი პირველ აპრილამდე გაგრძელდება“.

ვააა... რა ყველაფერი ჩემი საფიქრალია ამ ქვეყანაში?!

### უვიცთა „პარადი“

უკვე მესამედ ვამბობ, ქართული ელექტრონული მედია უვიცთა ხელშია. ამ სფეროში „მოღვაწეობს“ ერთი აფრებაშლილი ქალი, რომელსაც თავი ძალზედ განათლებულად და პროდასავლელად მოაქვს. ეს ქალი უვიცთა ხელშეწყობით ლამის ყოველ საღამოს ჭკუას გვარიგებს ტელევიზორიდან. ალბათ მიხვდით... ასეთი გახლავთ გიგა ბოკერიას კნეინა თამარ ჩერგოლეიშვილი, რომელსაც ჯერ ტელევიზია გაუხსნა კახა ბენდუქიძემ და ვერ ამუშავა, შემდეგ კი თვით ბოკერიამ სააგენტო „ტაბულა“ გაახსნევინა. აი, სწორედ ჩერგო დეიდას „ტაბულამ“ გაავრცელა ასეთი ინფორმაცია





მას შემდეგ, რაც ამერიკელებმა ირანელი გენერალი ყასიმ სოლეიმანი ერაყის აეროპორტში ააფეთქეს და ირანელებმა ქოში უკუღმა ყარეს:

„აშშ-ის მხრიდან ირანის დაბომბვის შემთხვევაში ისლამური რევოლუციის მცველთა კორპუსი ებრაულ ქალაქ ხაიფასა და საუდის არაბეთის დედაქალაქ დუბაის დაბომბვით იმუქრება“.

ღმერთო ჩემო, ჩერგო, შენ, უაღრესად განსწავლულმა ქალმა ისიც კი არ იცი, რომ დუბაი არაბთა გაერთიანებული საემიროების დედაქალაქია და არა საუდის არაბეთისა? ისე, სადაც თქვენი სულიერი მეგობარი გიგი თევზაძე აცხადებს, შობა საბჭოთა გადმონაშთია, ხოლო უკრაინა საქართველოს სტრატეგიული მეზობელიაო, შემდგომი „უვიცობები“ აღარ მიკვირს. სხვათა შორის, რომ იცოდე, საუდის არაბეთის დედაქალაქი არის ერ-რიადი.

ილიას თქმისა არ იყოს, რა გითხრათ, რით გაგახაროთ? შობა დღეს ტელეკომპანია „იმედის“ ჟურნალისტებმა დიდი სიამაყით მოგვილოცეს „ღვთისმშობლის შობის დღე“. ჩვენ ისღა დაგვრჩენოდა, მადლობა გადაგვეხადა და გადავუხადეთ კიდევაც.

ინტერნეტსივრცეში არის ასეთი სააგენტო **NEWS.on.ge,** რომელმაც დიდი ამბით გვაცნობა, ბაღდათში ირანელი გენერალი სოლეიმანი მოკლესო. ჰო, ბაღდათშიო, აქვე ქუთაისთანო. მოგვიანებით ქუთაისელებმა განაცხადეს, მთელი დღე „კასკებით“ დავდივართ, საღამოს გავიგეთ, რომ თურმე გენერალი ბაღდადში მოუკლავთო, ერაყის ბაღდადშიო. მოკლედ, ბაღდათი და ბაღდადი ერთმანეთში ერევათ ამ ე.წ. ჟურნალისტებს და მე რა გავაკეთო, არ ვიცი. ამათ არც წიგნის აღება უნდათ ხელში, არც კომპიუტერს იყენებენ ამ მხრივ... როგორც ქიზიყში იტყვიან ხოლმე, მარტო კევს აღლაჭუნებენ და მიკროფონს სჩრიან პირში პირველივე შემხვედრს.

ისე, არ დაიჯერებთ და... ჩვენი „განსწავლული“ ჟურნალისტები ხშირად განსაკუთრებული ორიგინალობითაც გამოირჩევიან. მაგალითად, როგორც „რუსთავი 2“ გვატყობინებს: „სალომე ზურაბიშვილმა საშობაოდ ხუთი პატიმარი შეიწყალა, იქიდან არც ერთი არ იყო გიორგი მამალაძე“. არადა, ჩვენს მიერ ჩატარებული კვლევის თანახმად, ხუთი პატიმრიდან დაახლოებით სამი მაინც გიორგი მამალაძე უნდა ყოფილიყო. ნუ, რა არი ეხლა ეს, ქალბატონო პრეზიდენტო, რეებს კადრულობთ?!

სანამ ამ წერილს დავამთავრებდი, ე.წ. ქართულ მედიაში ბომბივით გასკდა ინფორმაცია გლდანში დატრიალებული სკანდალის თაობაზე: ესე იგი, ვიღაც ჟურნალისტს დაუწერია, გლდანის რომელიღაცა მიკრორაიონში (მითითებული არ არის) ვიღაც ბებო (ვინაობა არ წერია) პურს აცხობდა, თურმე ცომში „ამფეტამინს“ ურევდა და მთელი უბანი ამ პურზე შესვა. „ამფეტამინი“ ნარკოტიკია ფხვნილის სახით. აი, აქაც „იმარჯვა“ ე.წ. ქართულმა მედიამ, ძაან სერიოზულმა სააგენტოებმაც კი ისე აიტაცეს, გეგონება ათასგზის დადასტურებული სიმართლე ყოფილიყოს. პრინციპში, სერიოზულ სააგენტოებს ვუწოდებ, თორემ მკითხველი რომ აღარ ჰყავთ, ყველაფერზე მიდიან, რათა როგორმე ჭორიკნები მაინც შეახედონ თავიანთ საიტებზე. ესეც ისეთივე „ტრუხა“ ინფორმაციაა, დასაწყისში ტოლმაზე რომ მოგახსენეთ.

ამით არ ვამთავრებ, ე.წ. ქართულ მედიაში იმდენი სისულელე ტრიალებს, მომავალშიც მომიწევს ამაზე წერა და ნერვების მოშლა.

**გელა ზედელაშვილი**
555 48 48 61

# საჭიროა თუ არა მარტოობის სამინისტროს შექმნა?

ურბანიზაციამ მსოფლიო გადააქცია საგიჟეთად.

ევროპელი და ამერიკელი სწავლულების მეგობრული რჩევა: ქალაქი ავად ხდის, თუ გნებავთ ფსიქიური და ფიზიკური ჯანმრთელობა დრო და დრო მაინც დაბრუნდით ხოლმე თქვენს მიტოვებულ სოფლებში, დატკბით სიწყნარით და ჯერ-ჯერობით სუფთა ჰაერით. ქალაქი აგიჟებს? ქალაქური ცხოვრების ხმაურებით, ზოგჯერ აგრესიული ხასიათით და მუდმივი მღელვარებით გაღიზიანებული ქალაქელები იტყვიან რომ ნამდვილად აგიჟებს. ექიმები და მეცნიერები იძლევიან უფრო ნიუანსირებულ პასუხს და ცდილობენ საკითხის გარკვევას მეცნიერული კვლევით. სამოცდაათი წლის წინ ორი ამერიკელი სწავლულის დასკვნით მენტალური პრობლემები და ავადმყოფობები უფრო ხშირია ქალაქურ ცენტრებში ვიდრე სოფელში. სპეციალისტებს ჯერ არ შეუძლიათ ამ ფენომენის სრულად ახსნა. დღეს დანამდვილებით ცნობილია მარტო ის რომ სხვადასხვა ფსიქოზი, მათ შორის შიზოფრენია, ორჯერ უფრო ხშირია ქალაქურ გარემოში ვიდრე იქ სადაც მოსახლეობის სიმკვრივე სუსტია. ამიტომაა რომ ექიმები და ფსიქოლოგები ბოლო წლებში დიდად დაინტერესდნენ ამ თემით.

პირველ რიგში საჭირო იყო იმის შემოწმება ხომ არაა თავისთავად ქალაქში ცხოვრება სახიფათო, რისკის ფაქტორი იმდენად რამდენადაც ქალაქურ ცენტრებში, სადაც კონცენტრირებულია გაღატაკებულ-დაბეჩავებული მოსახლეობები უფრო იოლად ვრცელდება სხვადასხვა პათოლოგია და უწესობები. მკაცრად ჩატარებულმა მეცნიერულმა გამოკვლევებმა დაადასტურეს რომ ქალაქურ გარემოში გაზრდილ ადამიანს ბევრად უფრო ემუქრება შიზოფრენიის გაჩენის საფრთხე. ასეა მაშინაც როდესაც ისპობა რისკის სხვა ცნობილი ფაქტორები, მაგალითად ამქვეყნად გაჩენის პირობები, გარემოს სოციალური და ეკონომიკური მახასიათებლები.

დანიელი მეცნიერების დასკვნით, შიზოფრენიის შემთხვევაში სოლიდურად დადასტურებული ეს კავშირი უნდა მოქმედებდეს მთლიანად ფსიქოტურ ავადმყოფობებზეც. ეს ავადმყოფობები მართლაც საგრძნობლად უფრო მეტია ქალაქურ გარემოში ვიდრე სოფელში. მაგრამ ქალაქური ცხოვრების რომელი ასპექტები მოქმედებებს ამდენად ცუდად ადამიანის ფსიქიკაზე? ორმა დანიელმა ფსიქიატრმა გამოიკვლია ორი მილიონი ინდივიდისგან შემდგარი მოსახლეობა და მათ აქვთ პირველი საინტერესო პასუხი. გამოკვლევამ აჩვენა რომ მნიშვნელოვან როლს ასრულებს წალაქურ გარემოში გატარებული ბავშვობის და მოზარდობის წლების რაოდენობა. (პირველ რიგში შიზოფრენიის დასაწყისით). ასეა მაშინაც როდესაც ადამიანი არ დაბადებულა ქალაქში მაგრამ იქ დამკვიდრდა მოგვიანებით მისი ბავშვობის პერიოდში. ასე რომ ქალაქში ცხოვრება მართლაც უნდა იყოს დაკავშირებული შიზოფრენიის გაჩენასთან. მიზეზი შეიძლება იყოს ჯერ კიდევ დაუბადებელი ბავშვის განვითარების შეფერხება. ქალის ფეხმძიმობის დროს მის მუცელში მყოფი ბავშვის ტვინის განვითარების გართულება. ამ კატეგორიაშია ფეხმძიმე ქალის მიერ გადატანილი ვირუსული ინფექციაც და არა მარტო გართულებები მშობიარობა-გაჩენისას. ეს ორი შემთხვევა უფრო ხშირი უნდა იყოს ქალაქში ვიდრე სოფელში. მეორე მიზეზია ქალაქური გარემოს გავლენა განვითარების პროცესზე. ბავშვზე ცუდ გავლენას ახდენს უფრო ვიწრო საცხოვრებელი სივრცე ბინაში ადამიანთა მეტი რაოდენობა, ბავშვზე ცუდ გავლენას ახდენს მშობლების უმუშევრობა, მათი ფინანსური პრობლემები. ქალაქში ცხოვრებამ შეიძლება გააძლიეროს კოგნიტიური პრობლემები რაც ზოგჯერ ჩანს შიზოფრენიის გაჩენამდე, ქალაქელი ბავში იღებს ბევრ და რთულად გადასახარშ ინფორმაციას რაც ასევე პრობლემაა.



1960-ანი წლების შემდეგ საზოგადოება გადააქციეს ერთმანეთთან კონკურენციაში მყოფ მატერიალისტ ჰედონისტ ინდივიდუალისტთა ბრბოდ და ესეც ცუდად მოქმედებს ფსიქიკაზე. ყველაფერი ეს ხსნის იმას თუ რატომაა ფსიქიური პრობლემები და ავადმყოფობები უფრო ხშირი ქალაქში ვიდრე სოფელში. ქრონიკული სტრესი არღვევს ტვინის კავშირს ზოგ ჯირკვალთან რასაც უწოდებენ „სტრესის ღერძს“-ესეც უწყობს ხელს შიზოფრენიის გაჩენას.

ქალაქების მოსახლეობა გაუთავებლად და უსასრულოდ იზრდება. გაეროს პროგნოზით 2050 წელს ქალაქებში იცხოვრებს კაცობრიობის 66%. 2014 წელს ქალაქებში ცხოვრობდა კაცობრიობის 54%. მოთარეშე ურბანიზაცია არ ახდენს გავლენას მარტო ბუნებრივი ეკოსისტემების ჯანმრთელობაზე. ქალაქში ცხოვრება ფაქტიურად არის ბუნებისგან მოწყვეტა. ქალაქში ბატონობენ ბეტონი, ასფალტი, აგური, შუშა, ხმაური, გარემოს პოლუცია-დაბინძურება, ხელოვნური განათება, ავტომობილის მოძრაობა. მარტო ბეტონთან, ასფალტთან, შუშასთან, აგურთან და დაბინძურებულ ჰაერთან და წყალთან კონტაქტი კი მავნებელია ჯანმრთელობისთვის მაშინ როდესაც ცოცხალ ბუნებასთან კონტაქტი და სუფთა ჰაერით სუნთქვა სასარგებლოა ჯანმრთელობისთვის.



ქალაქური ზონები ავრცელებენ და აძლიერებენ სტრესს, დარდს, ნაღველს. მრავალი გამოკვლევის თანახმად ბუნების ნაკლებობა აჩენს მენტალურ პრობლემებს. ბუნებასთან მეტი სიახლოვის სიკეთე სადავო აღარაა... ბუნება ქალაქშიც უნდა იყოს ხელმისაწვდომი XXI საუკუნის ქალაქში სიმწვანე აღარ უნდა იყოს დიდი ცენტრალური პარკი და ბევრად უფრო ნაკლებად მწვანე პერიფერიები. პირიქით, სიმწვანე უნდა იყოს სადაც შეიძლება ჩაბეტონებული ხელოვნური გარემოს შეცვლა მცენარეებით. შესანიშნავია ასფალტის ნგრევის და ხეების დარგვის ლოკალური ინიციატივები მონრეალში, მაგალითად, ორგანიზაცია ქუჩის ბაღი ერთი და იგივე ზონაში მცხოვრებ მოქალაქეებს აძლევს ასფალტის ნგრევის და გამწვანების სამსახურების გამოძახების საშუალებას. თუ კი მათი ქუჩის გამწვანების მსურველი მოქალაქეები საკმაოდ ბევრნი არიან ქალაქის მიერ დაფინანსებული ორგანიზაცია უხმობს მოხალისეებს და მცხოვრებლებს რომლებიც მონაწილეობენ გამწვანებაში. ზოგი ქუჩა ასე გადაიქცა სიმწვანის ოაზისად. მეტიც, ეს პრაქტიკა სპობს განსაკუთრებით კლიმატური დათბობის კონტექსტში თანამედროვე ქალაქების ჭირს, სიცხის კუნძულებს. ქალაქების დაკავშირება ბუნებას აუმჯობესებს ქალაქელთა მენტალურ და ფიზიკური ჯანმრთელობას და კიდევ ერთხელ წარმოაჩენს ბუნებრივი გარემოს დაცვის აუცილებლობას. ურბანიზაციასთან დაკავშირებული პოლუცია-დაბინძურების შედარებით დავიწყებულ ფორმებს შორის არის განათებით პოლუცია. მკვლევარებმა გაარკვიეს რომ კაცობრიობის 80%-მა აღარ იცის თუ რა არის ვარსკვლავიანი, ვარსკლავებით მოჭედილი ცა. მეტიც, განათებით პოლუცია ზრდის მელატონინის წარმოქნას ანუ ართულებს ძილს რასაც მოსდევს კიბოს ზოგი სახეობის გაჩენის გაძლიერებული საფრთხე. დაბოლოს, ქალაქის სინათლეები და დანადგარები დიდ ზარალს აყენებენ ბიომრავალფეროვნებას. ქალაქი სავსეა სტრესის გამომწვევი ფაქტორებით: საავტომობილო მოძრაობა, ხმაური, ადამიანური ენერგია, სენსორული ჰიპერსტიმულაციები ყველგანაა და მუდამაა. მონრეალის კარდიოლოგიის ინსტიტუტის ექიმი რობერტ ბელიაევის თქმით რომ ჩვენ გვჯერა რომ ადაპტირებული ვართ ამასთან და ვივიწყებთ მას, ეს კი შეცდომაა.

ფრანგული გაზეთის ფიგაროს მონაცემებით, ათი ფრანგიდან ერთი მარტოსულია. 2016 წელს თხუთმეტ წელზე უფროსი ხუთი მილიონი ფრანგი ძალიან იშვიათად თუ ხვდება ოჯახის წევრებს, მეგობრებს, მეზობლებს თუ ნაცნობებს. ამას ამას ამბობს „კრედოკის“ ეხლახანს „ფრანგული ფონდისთვის“ გამოქვეყნებული გამოკვლევა. ბევრს ეპიზოდური კონტაქტები აქვთ მეზობლებთან და ბევრად ნაკლებად ნათესავებთან თუ მეგობარ-ამხანაგებთან.

ევროკავშირის მოსახლეობის 6% იმდენად მარტოსულია რომ ისინი ვერავის თხოვენ დახმარებას და ვერავის დაელაპარაკებიან თავის პირად ცხოვრებაზე. ევროკავშირში ოცდაათი მილიონი ადამიანი სრულიად იზოლირებულია. იტალიელთა 13,2%, ლუქსემბურგელთა 12,9% დახმარებისთვის ვერ მიმართავენ ვერც ერთ ახლობელს, მეგობარს თუ მეზობელს. ფრანგთა 12,4%-ს და იტალიელთა 11,9%) უჭირთ ვინმესთან დალაპარაკება თავის პირად პრობლემებზე.

საჭიროა თუ არა მარტოობის სამინისტროს შექმნა? საფრანგეთში ხუთი მილიონი ადამიანია სოციალური იზოლირების მდგომარეობაში დიდი ბრიტანეთის მთავრობაში არის კაცი რომლის ამოცანაა სოციალურ იზოლირებასთან ბრძოლა. მარტოსულთა რაოდენობა კატასტროფულად იზრდება ევროპაში და არა მარტო... საფრანგეთის ფონდის გამოქვეყნებული ანგარიშის თანახმად ეს მარტოსულობა უნდა იყოს საფრანგეთში ფრანგთა თვითმკვლელობის ერთ-ერთი მთავარი მიზეზი. ამ ფენომენთან საბრძოლველად დიდი ბრიტანეთის მთავრობაში გაჩნდა „მარტოობის სამინისტრო“ რომლის მინისტრიც იბრძოლებს სოციალური იზოლირების წინააღმდეგ. მაგრამ რის გაკეთებას შეძლებს ის მრავალი და რთული მიზეზის მქონე ამ ფენომენის წინააღმდეგ?

**ქეთევან ზარნაძე**
599 52 60 30

# საქართველოს პრემიერ-მინისტრს გიორგი გახარიას

**ბატონო გიორგი,**

წალენჯიხის მუნიციპალიტეტის ქ. ჯვარში მდებარე სასიგნალო-სათვალთვალო კოშკის ირგვლივ ბოლო დროს განვითარებული მოვლენები გვაიძულებს შეგაწუხოთ და მოგაწოდოთ მოკლე ინფორმაცია.

ქ. ჯვარში „ომუნეს" უბანში, ზუგდიდი-ჯვარი-მესტიის საავტომობილო გზის განაპირას საუკუნეებია დგას სასიგნალო-სათვალთვალო „მეგრული ჯიხა", რომლის დანიშნულება ოდითგანვე იყო ოდიშის სამთავროს დაცვა ჩრდილოეთის მხრიდან მეკობრეთა შემოსევებისაგან.

1982 წელს ადამიანთა ერთმა ჯგუფმა შენიღბულად, ყველანაირი კანონმდებლობის დარღვევით, ჯიხას ზედა ნაწილი სვანური კოშკის სტილში გადააკეთა. შემდგომ მასზე შედგენილ იქნა ყალბი პასპორტი და იუსტიციის სამინისტრომ დაარეგისტრირა როგორც სვანური კოშკი. „რესტავრაციის" დამთავრების შემდეგ კი მთელი საპროექტო დოკუმენტაცია გაუგებარ ვითარებაში „გაუჩინარდა". ყველაფერი ეს მოხდა წალენჯიხის საზოგადოების და ხელისუფლების გვერდის ავლით, რამაც, ბუნებრივია, მოსახლეობის სამართლიანი გულისწყრომა და პროტესტი გამოიწვია, რომელიც დღემდე არ ცხრება.

„ომუნეს ჯიხა" ჩვენთვის წარმოადგენს ერთ-ერთ ისტორიულ სიმბოლოს და სავიზიტო ბარათს. მისი პირვანდელი იერ-სახის ვანდალურად დამახინჯება სამეგრელოს ისტორიის ხელყოფაა, რასაც ჩვენი კუთხის მოსახლეობა არასოდეს შეეგუება.

ბოლო სამი წლის განმავლობაში ჩვენ 6-ჯერ მივმართეთ (მათ შორის პარლამენტის მაჟორიტარმა დეპუტატმა) ცენტრალური ხელისუფლების ყველა ინსტანციას, მაგრამ საკითხის დადებითად გადაწყვეტას ვერ მივაღწიეთ. ამის მიზეზი გახლავთ ძეგლთა დაცვის სააგენტოს დირექტორის ნიკოლოზ ანთიძის ცალმხრივად მიკერძოებული ქმედებები. მოგიყვანთ მხოლოდ ერთ ფაქტს: წალენჯიხის მუნიციპალიტეტის დაკვეთით 2018 წელს მეცნიერთა კომპეტენტურმა ჯგუფმა აკადემიკოს ნ. ხაზარაძის ხელმძღვანელობით, შეისწავლა და შეიმუშავა მეცნიერული დასკვნა აღნიშნულ ძეგლზე. ნ. ანთიძემ ჯიუტად უგულებელჰყო ეს დოკუმენტი და არგუმენტად დაასახელა, რომ ის წარმოადგენს სახელმწიფოს და როგორც პირადად სურს, ისე მოიქცევა.

ბატონო გიორგი,

პირადად თქვენ, თითქოს ამ უმნიშვნელო საკითხზე არც შეგაწუხებდით, მაგრამ საქმე გვაქვს შორს გამიზნულ განზრახვასთან: მავანთა მიერ ჩაფიქრებულია გაუგონარი ავანტურა — კოლხეთის ძირძველი მიწის ნაწილი, პერსპექტივაში მოაზრებულ ერთიანი სვანეთის გუბერნიას.

უმორჩილესად გთხოვთ ჩაერიოთ საკითხის სამართლიანად გადაწყვეტის საქმეში. საჭიროა საკითხის გადაუდებელი მოგვარება, რადგან მისი გაჭიანურება აუცილებლად გამოიწვევს ორ კუთხეს შორის დაპირისპირების პროვოცირებას.

საინიციატივო ჯგუფის სახელით, უღრმესი პატივისცემით:

1. **ო. ფაცაცია** — საქართველოს ყოფილი პრემიერ-მინისტრი;
2. **ნ. ჭითანავა** — აკადემიკოსი;
3. **ბ. ჯიქია** — სამეგრელო-ზემო სვანეთის ყოფილი გუბერნატორი;
4. **ვ. ჭანტურია** — საქართველოს პარლამენტის ორგზის დეპუტატი;
5. **ზ. კვარაცხელია** — სახალხო მოძრაობა „სამეგრელოს" რწმუნებული;
6. **რ. გოგოხია** — საქართველოს პარლამენტის წევრი 2004-2008 წ.წ.;
7. **ნ. ციმინტია** — ჩხოროწყუს მუზეუმის დირექტორი;
8. **ვ. ფიფია** — საზოგადოება „ზუგდიდელი";
9. **ზ. გუჩუა** — საქართველოს პარლამენტის წევრი 1991-1992 წ.წ.;
10. **ი. უბილავა** — საზოგადოება „ჯვარელების" თავმჯდომარე;
11. **გ. ლიპარტია** — წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი;
12. **შ. ლატარია** — საზოგადოება „წალენჯიხელის" თავმჯდომარე;
13. **კ. ნაჭყებია** — პოეტი, საზოგადო მოღვაწე;
14. **დ. ქანთარია** — ქ.ფოთის ყოფილი მერი;
15. **ჯ. როგავა** — წალენჯიხის გაზეთ „ეგრისის" რედაქტორი;
16. **ნ. ჟვანია** — ჟურნალისტი, მწერალი, ჩხოროწყუ;
17. **მ. ჭანტურია** — მწერალი, საზოგადო მოღვაწე.

**საქართველოს მწერალთა ეროვნული აკადემია ღრმა მწუხარებას გამოთქვამს აკადემიის წევრის, ირაკლის ვაშაყმაძის, დის**

**მაყვალა ვაშაყმაძის**

**გარდაცვალების გამო და თანაგრძნობას უცხადებს განსვენებულის ოჯახს.**

**„საერთო გაზეთის" რედაქცია გულწრფელად თანაუგრძნობს პოეტ ირაკლი ვაშაყმაძეს, დის**

**მაყვალა ვაშაყმაძის**

**გარდაცვალების გამო**

# მილოცვა



**თითოეული ქრისტიანი, შეძლებისამებრ, სხვებისთვის სათნოების მაგალითს უნდა წარმოადგენდეს"**

**ბასილი დიდი, წესი 34**

თითოეულ ჩუენთაგანს სიცოცხლე უფლისგან ერთნაირად გვებოძა. გააჩნია მიწიერ, ხანმოკლე პერიოდს როგორ გამოვიყენებთ. საღად მოაზროვნე ადამიანს დაებადება კითხვა: ვიქცევით კი ისე, რომ მომავალი თაობა ჩვენით იამაყებს, თუ პირიქით, შერცხვებათ ჩვენი სახელის ხსენება?

ჩვენი ვალია, ხშირად ვფიქრობდეთ – დავიცავით და მომავალ თაობას ვაბარებთ ღვთივბოძებულ ქუეყანას, წინაპართა სისხლით გაპოხიერებულს ტერიტორიული მთლიანობით, უძველესი ეკლესია–მონასტრებით, საიდანაც შეუწყვეტელი, ჭეშმარიტი ლოცვა აღევლინებოდა ღმრთისადმი, რის გამოც, უზენაესის შემწეობით ქვეყანა ამაყად იდგა წინაპართა ძვლებზე? ვფიქრობთ, ხომ არ მინავლდა სარწმუნოებრივ კერაზე ჩაუქრობელი პატრუქი.

მიწიერი პერიოდი მკაცრი გამოცდა არს თითოეული ჩუენთაგანისა, ძიება გზისა, მიმყვანებელი სამოთხესა შინა. ვიქცევით კი ისე, რომ მაგალითს უჩვენებთ ჩვენს მემკვიდრეებს ცხოვრების წესისა?

აღსასრულის ჟამს, რომელიც გარდაუვალია (ღმერთმა ყველას დღეგრძელობა მიაგოს) თამამად შევხედავთ ვალმოხდილი ახლობლებს. რომლებიც უჩუმრად გვემშვიდობებიან, განწმედილი სულით მოვუხმობთ მფარველ ანგელოზს? უამრავ კითხვას ბადებს ადამიანის მოვლინება და ცხოვრება ამა სოფელში.

ერისკაცნი, თუ სასულიერო პირნი თვალებს უნდა უსწორებდეს საკუთარ სინდისს, პასუხს მივაგებდეთ დასმულ კითხვებს.

წმიდა მამა ფილარეტ მოსკოველი ბრძანებს: „განათლებას მხოლოდ მაშინ მოაქვს საზოგადოებისთვის კეთილი ნაყოფი, როდესაც მას საფუძვლად უდევს რწმენა".

მამა ბასილ, თქვენ ბრძანდებით ის ღვთისმსახური, რომელიც თამამად მიაგებთ პასუხს ყოველგვარ კითხვებს მიწიერ ცხოვრებაზე, თუ მაშინ, როცა თითოეული ჩუენთაგანი წარვდგებით განკითხვის ჟამს, რამეთუ მაშინ უფალი უვედრებელ არს. მაშინ ენანი დადუმდნენ და საქმემან იწყოს მეტყველება.

„გარეგნული საქმენი, სულიერ საქმეთა ნაყოფია და კუთვნილს მიაგებს საღვთო განჩინებით" (მარკოზ განშორებული).

მამაო, მართლაც სულიერი სიწმიდიდან მოდის თქვენ მიერ აღსრულებული ყოველი საქმე. ენას ვერ ძალუძს აღრიცხოს ღვაწლი თქვენი, ერისა თუ სარწმუნოების წინაშე, რაც თქვენ ქვაკუთხედად დაგვიდეთ. გაივლის წლები, საუკუნენი და ჟამთაღმწერელი ამცნებს, რომ იყო ერთი მეტად მორწმუნე სასულიერო პირი, რომელმაც განიცადა მიწიერი ჯვარცმა, ის არ ეშიშებოდა არანაირ ზეწოლას, დევნა–შევიწროვებას, პატიმრობას, მაინც ილვწოდა, აშენებდა, ამშვენებდა საქართველოს ძლიერებისათვის, მომავალი თაობის სულიერი აღზრდისთვის, რამეთუ ჩვენამდე მოღწეული ტრადიციები, კულტურა, სარწმუნოება. სწორედ ღირსეულ წინაპართა სისხლმა წერა: "ვისაც ღმერთი ირჩევს მსახურად, მას მოწამეობისათვის, ვნებისათვის ირჩევს." ეს ყოველივე თქვენ გაიარეთ და ღვაწლმოსილი აგრძელებთ წინაპართა გზას. თქვენი სიტყვა და საქმე განუშორებელ არს ურთიერთარს.

„ყოველგვარი სათნოების თავი ღმერთია, ისევე როგორც დღის შუქისა – მზე" (მარკოზ განშორებული).

თვენ აღასრულეთ ყოველგვარი ღვთიური დავალება, რამეთუ ყოვლადწმიდა ღმრთისმშობელი დედა თავის მადლიან კალთას გაფარებთ. სწორედ ღმრთის შემწეობით შეძელით გლდანში გრანდიოზული ტაძრის აშენება, მოპირკეთება, მოხატვა; თქვენი ერთგული მრევლის თანადგომით ძეგლად აღმართეთ სასულიერო კერა.

სწორედ ღმრთის შემწეობით, ყოვლადწმიდა დედის თანადგომით აღდგინეთ თქვენ მშობლიურ სოფელში ყოვლადწმიდა ღმრთისმშობლის ტაძარი და სხვა მრავალი.

მადლით შემოსილო, დამშვრალო, სარწმუნოებისა და სამშობლოს ერთგულო, უძილო ებგურო, უანგარო მოძღვარო, მართლაც მაგალითის მიმცემი ბრძანდებით თქვენი სათნოებით, რწმენით, შრომისმოყვარეობი თ. სწორედ თქვენ გატკეპნეთ რწმენით, სამშობლოს ერთგულებით აღვსილმა მეტად რთული ბილიკი, მძიმე ჯვრით მხრებზე, მიმყვანებელი სასუფევლის ზღუდესთნ. ვამაყობთ თქვენით, რამეთუ მადლით და იმედით გვავსებთ, ამაღლებული ზნეობით გვასაზრდოებთ. გვახარებს თქვენ გვერდით დგომა. ვეცდებით ვაკეთოთ ის, რაც თქვენ გაგახარებთ, რათა იამაყოთ ჩვენი თ.

იცოცხლეთ დიდხანს, რამეთუ კიდევ და კიდევ სჭირდებით უფალს მიწიერ ცხოვრებაში. სწორედ ახლა იწყება ის მძიმე პერიოდი, რათა გადაირჩეს, ვინ რა გზას აირჩევს – ჯვარს თუ პურს; ქრისტეს ეკლიან ბილიკს, მიმყვანებელს ტაძრამდე თუ ფართო, მხიარულებით მოცულ შარაგზას, მიმყვანებელს წარწყმედამდე.

თქვენ უნდა წარუძღვეთ ერის ჭეშმარიტ სიმრავლეს, რამეთუ არანაირი მწიკული არ მიგიძღვით პირად ცხოვრებაში, ღმრთის მსახურებაში, სჯულის კანონის დაცვაში.

მამა ბასილ! გილოცავთ თქვენი დაბადებიდან 73–ე წლისთავს! იხარეთ, იბედნიერეთ თქვენ ერთგულ მეუღლესთნ, შვილებთან, შვილიშვილებთან, ახლობლებთნ, სასულიერო ჭაპანის გამწევ მოძღვართან მამა ვახტანთნ (მარგიანი), მრავალრიცხოვან მრევლთან, თქვენდამი პატივისცემით განმსჭვალულ მართლმადიდებლებთან ერთად. ღმერთს შევსთხოვთ თქვენ ჯანმრთელობას.

გილოცავთ შობა-ახალ წელს, ხსენებას უდიდესი მამისა ბასილი დიდისა, რომელსაც მიბაძავთ თქვენ.

იხარეთ მამაო.

**მამა ვახტანგი (მარგიანი)**

გლდანის ივერიის ყოვლადწმიდა ღმრთსმშობლის ეკლესიის მოძღვარი

**მადლიერი მრავალრიცხოვანი მრევლი**

გლდანის ივერიის ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის სახელობის ეკლესიის წინამძღვარს, **მამა ბასილ მკალავიშვილს** ვულოცავთ დაბადებიდან 73-ე წლისთავს.

ვუსურვებთ ჯანმრთელობას და დიდ ხანს სიცოცხლეს. მისი გულმხურვალე ლოცვა არ მოკლებოდეს ჩვენს ქვეყანას.

**„საერთო გაზეთის" რედაქცია**

# დიდი მაგისტრის – ლიჩო ჯელის სია

საშინელ, დამახინჯებულ სამყაროში, სადაც ტერორი მეფობს, არსებობენ ეგრეთ წოდებული „მეთოჯინეები“, რომლებიც, უბრალოდ, თოკებს ქაჩავენ და სიკვდილი ანადგურებს ადამიანებს... მათი კრიმინალური ნიჭის წყალობით გაუხსნელი რჩება ყველაზე გახმაურებული პოლიტიკური მკვლელობები და შემზარავი ტერაქტები. ბოროტმოქმედებათა მასშტაბებით, ნარკოტიკებითა და იარაღით ვაჭრობით მიღებული კაპიტალის, მრავალსვლიანი ტერორისტული კომბინაციების ვირტუოზულობითა და კვალის დაფარვის უზადო ნიჭის წყალობით, მათ შორის ყველაზე ავტორიტეტულად მასონური ლოჟის „პროპაგანდა-2“-ის დიდი მაგისტრი ლიჩო ჯელი ითვლება.

ლიჩო ჯელი 1919 წელს დაიბადა იტალიის ჩრდილოეთში, პატარა ქალაქ პისტოიაში. სწორედ ამ ტოსკანურ ქალაქში შეიქმნა ქვეყნის ისტორიაში პირველი მასონური ლოჟა.

ლიჩო იტალიელი მოხალისე-ფაშისტების კორპუსში ჩაეწერა და ესპანეთში განხორციელებულ საბრძოლო მოქმედებებში იღებდა მონაწილეობას. მალევე ახალგაზრდა ფაშისტმა ოფიცრის წოდება მიიღო და სამხედრო კარიერა ალბანეთსა და იუგოსლავიაში განაგრძო.

მეორე მსოფლიო ომი ლიჩომ ელიტური გერმანული დივიზიის „გერმან გერინგის“ შემადგენლობაში დაიწყო. 1944 წელს მან პირველად მიიღო მო-




ნაწილეობა ძარცვაში, რაც მისი შემდგომი მოღვაწეობის ძირითად სფეროდ იქცა. იტალიის სპეცსამსახურებმა ჯელი იმ ჯგუფში ჩართეს, რომელმაც იუგოსლავიის ცენტრალური ბანკიდან ოქროს მთელი მარაგი გაიტაცა. ომის დასასრულისთვის ჯელი თავზეხელაღებული ესესელიდან ფაშისტების წინააღმდეგ მებრძოლად „გარდაისახა“.

1944 წლის ოქტომბერში ჯელიმ აშშ-ის მეხუთე არმიის კონტრდაზვერვასთან დაიწყო თანამშრომლობა და მშობლიურ ქალაქში ისეთი დოკუმენტებით დაბრუნდა, რომლებიც წინააღმდეგობის მოძრაობაში მის „გმირობას“ ადასტურებდნენ. ამისი არ სჯეროდათ და იგი იძულებული იყო, პარტიზანების შურისძიებას დამალვოდა. ჯელი არგენტინაში დასახლდა, სადაც მომავალი დიქტატორის, პერონის მომხრეებს შეუერთდა. ლათინური ამერიკა ჯელის პატივმოყვარე გეგმების განსახორციელებლად არასაკმარისი სივრცე იყო, მას ის ქვეყნები აინტერესებდა, რომლებმაც მესამე რეიხიდან გამოქცეული „უბედური ლტოლვილები“ შეიფარეს.

ჯელი სიამოვნებით აგრძელებდა თავის საყვარელ საქმეს — აგროვებდა მთელ სამყაროზე არსებულ ყველა კომპრომატს, მათ „სარფიანი“ გამოყენება მოუძებნა, დაიწყო ვაჭრობა — გონიერად და ფრთხილად, დიდი სარგებლითა და პერსპექტივით. მისმა წინდახედულებამ აშშ-ის ცენტრალური სადაზვერვო სამსახურის ახალი ხელმძღვანელობის თვალში ჯელის რეიტინგის ზრდას და მისი ქონების მატებას შეუწყო ხელი — მან შეიძინა მამულები არგენტინაში, ურუგვაიში, ჩილესა და პარაგვაიში, სახლები და ბინები მექსიკაში.

1948 წელს ჯელი სამშობლოში დაბრუნდა და იტალიური სპეცსამსახურების დამსმენი გახდა. ის ვაჭრობდა რკინით, წიგნებით, „პერმაპლექსისა“ და „დორმირეს“ ფირმის ლეიბებით. სწორედ ამ ლეიბების წყალობით გამდიდრდა იგი, როდესაც იტალიაში განლაგებულ ნატოს ბაზებთან გააფორმა ხელშეკრულება. ჯელის კეთილდღეობის საფუძველი კი იუგოსლაველი მეფეების ოქრო იყო, რომელიც ფაშისტებმა გაიტაცეს და რომლის ნაწილიც ჯელიმ მიისთვისა.

1960 წელს ყველა მასონური ლოჟა გაერთიანდა და შეიქმნა ლოჟა „იტალიის დიადი აღმოსავლეთი“. პარალელურად, მიდიოდა ინტენსიური მუშაობა ლოჟა „პროპაგანდის“ („პროპაგანდა მასონიკა №2“ 1885 წელს ბანკირმა ადრიანო ლემიმ შექმნა) აღდგენის მიზნით, რომელსაც მასონური პოლიციის როლი უნდა შეესრულებინა. მას გამორჩეული, ენერგიული და ორსახოვანი იანუსის თვისებების მქონე ხელმძღვანელი სჭირდებოდა. ასეთ ადამიანად ამერიკელებმა ჯელი „აირჩიეს“.

1965 წელს ჯელი დახურულ სუპერსაიდუმლო ლოჟა „პროპაგანდა-2“-ში მიიღეს (პ-2), 1969 წელს მან შეცვალა ჯილიოტი, გახდა ამერიკელ და აპენინის მასონებს შორის „ხიდი“, მასვე დაეკისრა მასონების ნაციონალური ორგანიზაციების შეკავშირება. მომდევნო წელს ლიჩო მასონების პუბლიკაციების ზედამხედველი გახდა და, რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, მას ანდობდნენ ურთიერთობის მოგვარებას საზღვარგარეთის მასონებსა და ცსს-ს შორის. 1971 წელს ჯელი იმ ლოჟის საორგანიზაციო მდივნად დაინიშნა, რომელსაც უკვე „ჯელის ჯგუფ — პ-2“-ს ეძახდნენ.

ამ მომენტიდან „პროპაგანდა“ სწრაფი ტემპებით იწყებს ზრდას. 1969 წლის დეკემბერში მილანში ერთ-ერთ ბანკში ბომბის აფეთქების შედეგად ასამდე ადამიანი გარდაიცვალა და დაიჭრა. „იტალიის დიადი აღმოსავლეთის“ ახალი ხელმძღვანელი სალვინი, ეჭვობდა, რომ ჯელი ქვეყანაში გადატრიალებას აპირებდა. ის არ ცდებოდა. ჯელი თავად ხელმძღვანელობდა ფაშისტი იერარქის, ბორგეზეს პუტჩს, რომლის ჯგუფის წევრებმაც 1970 წელს იტალიის შინაგან საქმეთა სამინისტროს შენობა დაიკავეს, იარაღი დაიტაცეს და რომის ტელევიზიის შენობის აღებას აპირებდნენ, რათა ახალი დიქტატორი გამოეცხადებინათ. ჯელიმ პირადად ბრძანა პუტჩის შეჩერება. ყველასთვის, ვინც „დაძაბულობის სტრატეგიის“ ახორციელებდა, მნიშვნელოვანი იყო, იტალიაში შენარჩუნებულყო ძველი და ახალი ფაშისტების საბრძოლო ძლევამოსილება; გამოეყენებინათ ის იტალიის მოსახლეობის და პოლიტიკური ძალების შანტაჟისთვის და მარეგულირებლის როლი შეენარჩუნებინათ. 1975 წელს სალვინი იძულებული გახდა, „პ-2“-ისთვის განსაკუთრებული სტატუსი მიენიჭებინა, რომელიც მას ყველა ლოჟაზე მაღლა აყენებდა, ჯელის კი „საპატიო მაგისტრის“ ტიტული მიანიჭა და ლოჟის კანონიერ მმართველად აქცია.

დიდი მაგისტრის „ნამსახურების ნუსხა“ უსასრულოდ გრძელია — პოლიტიკური შეთქმულებები, შპიონაჟი, ძირგამომთხრელი ჯგუფების მომზადება, თავდასხმების ორგანიზება, სავალუტო-საფინანსო მაქინაციები, იარაღითა და ნარკოტიკებით ვაჭრობა და, რა თქმა უნდა, ბოლონიის სადგურზე მომხდარი აფეთქება 1980 წლის 2 აგვისტოს, რომელმაც 85 ადამიანის სიცოცხლე იმსხვერპლა და 200-ზე მეტი ადამიანი დასახიჩრდა. ასევე, აფეთქება სამგზავრო მატარებელ „იტალიკუსზე“, რომელსაც დიდი მსხვერპლი მოჰყვა; პროკურორების მკვლელობები, თავდასხმა პრემიერ-მინისტრ რუმორისა და ქვეყნის პრეზიდენტ ლეონეზე. ასევე, აფეთქებები იტალიის სამრეწველო გიგანტებზე „პირელიზე“ და ფიატზე. აქვეა იარაღით ვაჭრობის გარიგებები და საბირჟო სპეკულაციები. ცნობილია ასევე, რომ ჯელის სამხრეთ აფრიკიდან დიდი რაოდენობით კონტრაბანდა გადაჰქონდა და ციურიხის გავლით ახდენდა მის რეალიზაციას (ეს ფაქტი ცნობილ მრავალსერიიან ფილმ „სპრუტშიც“ არის ასახული). ამ სიიდან თითქმის ვერაფრის დამტკიცება ვერ მოხერხდა. ადვოკატებისა და მთელი მსოფლიოდან მნიშვნელოვანი მეგობრული მხარდაჭერის წყალობით, იგი დიდი ხნის განმავლობაში თავს დაუსჯელად გრძნობდა.

და მაინც, დადგა დრო, როცა „თავის დაძვრენა“ ძალიან რთული აღმოჩნდა. სკანდალი 1981 წლის 18 მარტს მოხდა, როცა იტალიურმა პოლიციამ, მნიშვნელოვანი სახელმწიფო დანაშაულის გამოძიების დროს, ჯელის მეგობარს, სიცილიელ ბანკირს, მიკელე სანდონის რომ უკავშირდებოდა, ჩხრეკა ჩაატარა მაგისტრის ვილა „ვენდაზე“. სინდონის საქმეებთან დაკავშირებით ვერაფერი იპოვეს, ჯელი კი, რომელიც იტალიის შსს-დან სატელეფონო ზარით გააფრთხილეს, რამდენიმე წუთით ადრე დაუსხლტა ხელიდან კარაბინერებს. სამაგიეროდ, სამართალდამცავებმა ბაღში სეიფი იპოვეს, რომელშიც მასონური ლოჟის წევრების არასრული, მაგრამ საგულისხმო სია აღმოჩნდა. ამბობენ, რომ იტალიის მაშინდელი პრეზიდენტი ალესანდრო პერტინი ძლივს მოასულიერეს, როცა სია წაიკითხა. ჯელის სიაში იყო: 3 მინისტრი, პარლამენტის 32 დეპუტატი, 10 პრეფექტი, კარაბინერების კორპუსის 10 გენერალი, ფინანსური გვარდიის 7 გენერალი, 6 ადმირალი, სახელმწიფო კომპანიების 83 პრეზიდენტი, ბანკების 12 გენერალური დირექტორი და უამრავი მოსამართლე, პროკურორი, ჩინოვნიკი, მათ შორის, პროფკავშირებისაც. შსს-იც ფრიად მაღალ დონეზე იყო წარმოდგენილი. ამ ჯგუფს ხელმძღვანელობდა საგარეო საქმეთა სამინისტროს გენერალური მდივანი.



თავდაცვის სამინისტრომ ლოჟა 152 უმაღლესი ჩინოვნიკით „გაამდიდრა“, ისინი, ძირითადად, პოლკოვნიკები, გენერლები და ადმირალები იყვნენ. ადმირალი ტორიზი 1970-იანი წლების ბოლოსთვის იტალიის სამხედრო-საზღვაო ფლოტს, 1980–81 წლებში კი თავდაცვის სამინისტროს გენერალურ შტაბს ხელმძღვანელობდა; ადმირალი ბირინდელი სამხრეთ ევროპაში ნატოს სამხედრო-საზღვაო ძალების მეთაურის მოადგილე იყო. რადგან „პ-2“ უძლიერესი ლოჟა იყო, მან დაიქვემდებარა „ვატიკანის დიადი ლოჟაც“, რომელშიც ეკლესიის 121 უმაღლესი იერარქი შედიოდა.

მთავრობამ ამგვარად, „სრულიად შემთხვევით“ შეიტყო მძლავრი მასონური ლოჟის „პ-2“-ის არსებობის შესახებ. ლოჟის გავლენა იტალიის ფარგლებს გარეთაც ვრცელდებოდა. მის შემადგენლობაში შედიოდნენ არგენტინის, ბრაზილიისა და ლიბერიის მსხვილი სამხედრო და პოლიტიკური მოღვაწეები. ლოჟასთან დაახლოებული იყვნენ ეგვიპტის პრეზიდენტი ანვარ სადათი და ირანის შაჰი.

ვიდრე გამოძიება მიმდინარეობდა, ჯელი აშშ-სა და სამხრეთ ამერიკაში იმალებოდა. საპარლამენტო კომისიამ აღმოაჩინა მისი ლოჟის კავშირი ქვეყანაში მომხდარ მრავალრიცხოვან ტერორისტულ აქტებთან და აფერებთან; მისი მონაწილეობა თეირანში მძევლების გამათავისუფლებელ ოპერაციაში და აშშ-ის, დასავლეთ ევროპის საპრეზიდენტო არჩევნებსა და ამერიკის პრეზიდენტების ფორდის, კარტერისა და რეიგანის ინაუგურაციებში.

სცენიდან ჯელის წასვლამ ძალზე შეაშფოთა უმაღლესი „პირამიდა“. აშშ-იდან იტალიაში ჩავიდა ამერიკელი მასონების წარმომადგენლობითი დელეგაცია „ადამიანის უფლებათა საერთაშორისო ლიგის“ ეგიდით!

როცა ცნობილი გახდა, რომ დიადი მაგისტრი საბოლოოდ იყო კომპრომეტირებული, „მეგობრებმა“ ჯელი და მისი ლოჟა ერთხმად აღიარეს „ერეტიკოსებად“, ჯელი კი კგბ-ის აგენტად გამოაცხადეს. მიუხედავად ამისა, იტალიის ყველა — 620 ლოჟის წარმომადგენლებმა მაინც გამოუცხადეს ნდობა ლოჟა „პ-2“-ს.

ჯელი ცოტა ხნით ლათინურ ამერიკაში იმალებოდა. 1982 წლის 13 სექტემბერს კი, შეცვლილი გარეგნობით ევროპაში დაბრუნდა თავისი „მოკრძალებული“ დანაზოგის — 120 მილიონი დოლარის ჟენევის ბანკიდან გასატანად. შვეიცარიელებმა ინტერპოლს აცნობეს. ჯელიმ თითქმის ერთი წელი გაატარა შვეიცარიის ციხე შონდოლონში, იტალიაში დეპორტაციამდე 10 დღით ადრე მიუდგომელი ციხიდან გაიპარა, ჯერ საფრანგეთში, შემდეგ მონაკოში გადავიდა, საიდანაც სამხრეთ ამერიკაში დაბრუნდა.

მაგისტრი რამდენიმე წლით გაქრა, 1987 წლის 21 სექტემბერს ის კვლავ გამოჩნდა ჟენევაში. იტალიამ ჯელის გადაცემა მოითხოვა. მას იტალიაში 12-წლიანი პატიმრობა მიესაჯა, მაგრამ კანონის თანახმად, 65 წელს მიღწეულ პირებს ციხიდან ათავისუფლებენ და ისიც, გაუსვლელობის ხელწერილის სანაცვლოდ, მშვიდად გამოვიდა ციხიდან.

მკვლელთა ლოჟის უმაღლესი ხელმძღვანელი ათეული წლების განმავლობაში განკარგავდა ადამიანების ბედს და ცდილობდა ქვეყნის მართვას, მაგრამ, გარკვეულწილად, თვითონაც თოჯინა იყო. იტალიის საპარლამენტო კომისია, რომელიც ჯელის საქმეს იძიებდა, იმ დასკვნამდე მივიდა, რომ მან ასეთ სიმაღლეებს იმის წყალობით მიაღწია, რომ სხვისი იარაღი იყო. „რა ძალები მოქმედებენ ზედა სტრუქტურებში, ვერასოდეს გავიგებთ, მხოლოდ იმ ურთიერთობების იდენტიფიცირება შეგვიძლია, რომლებიც ჯელის საიდუმლო სამსახურებთან აკავშირებდა“, — ნათქვამია დოკუმენტში.

მოამზადა
**ბელა გველესიანმა**
568 90 81 22

საერთო გაზეთი
მთავარი რედაქტორი: ვახტანგ ხარჩილავა

გაზეთის გამოწერა შეგიძლიათ შპს „ელვა-ჯი“-ს მეშვეობით
+995 32 238 26 73; +995 32 238 26 74

იბეჭდება შპს „ასავალ-დასავალის“ სტამბაში. აგლაძის 39. ტელ: 234-39-99
E-mail: asavaliprint@yahoo.com

ISSN 2233-3983